# ელვა

თფილისი

კვირა. 19 (1) მარტი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

გაზეთი „ელვა“ წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 7 ყოველ-დღიური გაზეთი. № 7



„ელვა“ მეგაზეთეებმა უნდა გაყიდონ სამ კაპეიკათ, როგორც თფილისში, ისე სხვა ქალაქებში და სახალხო მატარებლებშიაც.

წლის 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე ლ ვ ა“

„ელვა“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში: რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА“.


რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

რედაქცია თხოვს ბბ-ნხელის მომწერლებს, გაზეთის მისაღებათ მიმართონ (ფოსტით გვიან მიდის, ამ საშუალებით კი ადრე მიიღებენ) ჩვენს აგენტებს, რომლებთანაც გაზეთი ნომრობით იყიდება ა ხელის მოწერაც მიიღება. აგენტების სია: ქუთაისში—ამხ. „ელხიდა“. ბათომში—იხ. კალანდაძე, ფოთში—იოსებ კოხრეიძე, ოზურგეთში—ტულუში, სოხუმში—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, გორში—არჩუაძე, ჭიათურაში—ვლად. მოსეშვილ, შესტაფონში—ივ. საყვარელიძე, სამტრედიაში—როსტომ ასილაძე, ხაშურში—ი. ვალიაშვილი, თელავში—ქეთო ზარაფიშვილისა, სიღნაღში—ან. მენთეშაშვილი, ბორჯომში—მიხ. დადიანი, ლანჩხუთში—ვ. ებრალიძე.

ღრმათ დამწუხრებულნი: სოფიო, თამარა, შურა და არიკო ჩხარტიშვილები ამით აუწყებენ ნათევთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი ქმრი, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი მამისა

ესტატე ნიკოლოზის ძე ჩხარტიშვილისას,

რომლის გამოსვენება ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დანიშნულია ამა თვის 19-ს, დღით კვირას, დილის 10 საათზე. პანაშვიდები გადახდილ იქნება ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში ბაქოს ქუჩაზე, № 18.

პუპი ელიშუღის ასულდა მართა გრიგოლის ასული მუჯირებისა, ანტონ მაქსიმეს ძე მუჯირი, დრ ჩიგოგიძისა, მარიამ გორდელაძისა და ელენე ჯანაშიასი ამით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამ თვის 21-ს სამშაბათს, მაკვანეთის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარის პირველისშვილის, მეორეს მაზლის, ხოლო დანარჩენების ძმის, სტუდენტის

ექვთიმე (ხარიტონ) მაქსიმეს ძის მუჯირის

რომელიც მოკლულ იქნა ქ. ოდესაში 1905 წლის 6 დეკემბერს.


## ტფილისს კლუბში

ქართული წარმოდგენა.

სამშაბათს, 24 მარ, 1906 წ. ქართულ დრამატიულ საზოგოების დასის მიერ წარმოდგენ იქნება:

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

## პრინცესა ქორწილი

კომ. მ. მოქ. სუხოვო-კობილინისა. თარ. ა. ლულაძისა.

მონაწილეობას მიიღებ: ქბ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ო. ყავა. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიში, ვ. გუნია, გე. ყევანოვი, დ. ჩარინი, იმედაშვილი, ...შვილიძე.

წარმოდგენა დაიწყებ საათზე, საღამოს

შეგირდებისათვის ადგება 40 კ.

მზადდება წარმოსანათ „პირველი მერცხალი“, „ხალხი“, „ელო“, „ამ დროის გმირები“.

რეჟისორი ვ. ალი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორ. გუნია.


### მუშებსა და ხაზეინებს ურთიერთობასასახასიათებლათ

როცა რევოლიუციის განვითარების პირველ საფეხურზე შეუჩერელათ წინ მიდიოდა და მისი გამეული ყოველივე ნაბიჯი პოლიტიკურ თვა-გამგეობის მექანიზმს შლიდა, მაშინ ლა საზოგადოებრივი კლასები და ჯგუბი, გარდა ბიუროკრატიისა მას გუნეს უკმევდა და მის ბილადს, მის მატარებ—პროლეტარიატს ფიანდაზათ ეშლებოდა. ამ ხანში პროლეტარიატმა პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად ეკონომიური ბრძოლაც წამოაყენა. არ გადარჩა არც ერთი დუქა, ზავოდი და წვრილი სახელოსნო, რაც კი დაქირავებული შრომა იყო, რომ გაფიცვა არ მომხდარიყოს და მუშებს ესა თუ ის ეკონომიური მოთხოვნილებანი არ წამოეყენებინოთ. გაფიცვებმა ისეთ დარგებშიაც კი იჩინეს თავი, სადაც წინათ ადამიანი ძნელათ წარმოიდგენდა. მუშების ტაქტიკა მუდამ თავდასხმის ტაქტიკა იყო ხაზეინებზე, ბრძოლა „შრომის“ და „კაპიტალის“ შორის თითქმის მუდამ „შრომის“ გამარჯვებით თავდებოდა.

ხაზეინები ამ მოვლენას გულის წყრომით უყურებდენ, მაგრამ მუშათა სიძლიერის შიშით ამას არ ამხელდენ. მათ არ იცოდენ რა გზას დასდგომოდენ; ერთის მხრივ მუშების პოლიტიკური ბრძოლა მოწონდათ, ვინაიდან მათთვისაც ხელსაყრელი იყო პოლიტიკური თავისუფლება; მეორე მხრივ მათ არ მოსწონდათ მუშების გათამამება ეკონომიურ ბრძოლაში, რადგან მათ ჯიბეებს ასუსტებდა.

უპირველესათ ხაზეინები თავისი ძველი განუსაზღვრელი ექსპლოატაციის შესანარჩუნებლათ მუშების გულის მოგება უნდოდათ, თავიანთსა და მუშებს შორის ხიდის გადება და მათთან კეთილ-მოყვრული განწყობილობის დაჭერა. იყო შემთხვევა თფილისში, როცა ზოგიერთი ხაზეინები და იმათი გამგეები პოლიტიკური გაფიცვების დროს თავიანთ ქარხნებში, თვითონ ადიოდენ ტრიბუნაზე და თვითონ ორატორობდენ გაფიცვის სასარგებლოთ. ძველი დამოკიდებულობა ხაზეინებს მუშებისადმი, რომელიც გამოიხატებოდა მუშების ლანძღვაგინებაში, შეგირდების ცემა-ტყეპაში, ერთბაშათ შეიცვალა, მოყვრული ხასიათი მიიღო. გუშინდელი ხაზეინი, რომელიც თავის მუშებს პირუტყვებზე მაღლა არ აყენებდა, იგი ქუდს უხდის ტურტლიან მუშას და ხელის ჩამორთმევასაც კი არ ერიდება.

ზოგიერთმა გულუბრყვილო მუშებმა ეს თვალთმაქცობა სინამდვილეთ მიიღეთ და ზოგიერთი ხაზეინები სოციალისტებათაც კი მოენათლეთ.

ის გზა ხაზეინებისათვის პირველ შემთხვევაში საუკეთესო გზა იყო კლასობრივი ბრძოლის მისაფუჩეჩებლათ. მაგრამ ამან დიდი მაინც და მაინც არა მოუტანა-რა ხაზეინებს, რადგან სოციალისტურ იდეის თფილისის მუშებში ფესვი ჰქონდა გადგმული, რაიცა მუდამ ასწორებდა მუშების ბრძოლას და არ უკარგავდა ამ უკანასკნელს კლასობრივ მნიშვნელობას.

თფილისში მუშებმა სამუშაო დღე შეიმცირეს, სადაც იყო დღე-ღამით მუშაობა 10 საათზე დააყენეს, სადაც 10—11 საათი იყო სამუშაო დღე—9-ზე და 8-ზე ჩამოიყვანეს. ჯამაგირები და ხელფასი მოამატებინეს, ფაბრიკა-ქარხნებში ჰიგიენური პირობები გააუმჯობესებინეს, მოსპეს ნაჭრით მუშაობა, მოსპეს ხაზეინის მიერ არაადამიანური მოპყრობა და სხვა... ყველა თავი დააღწიეს იმ უზომო და გაუმაძღარ ექსპლოატაციას, რაც მანამდის გამეფებული იყო ფაბრიკა-ქარხნებში და მით უმეტეს წვრილ სახელოსნოებში.

მაგრამ აი რევოლიუციის პირველი გამარჯვების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, რევოლიუციას კონტრ-რევოლიუცია მოყვა. მის მოსაგერებლათ ბრძოლის ველზე პროლეტარიატი გამოვიდა. მისი მოკავშირე ბურჟუაზია განზე გადგა და ამ გამალებულ ბრძოლას შორიდან დაუწყო ცქერა. მას შემდეგ რაც 17 ოქტომბრის მანიფესტით სახელმწიფო მართვა-გამგეობის ადვირს ბურჟუაზიაც ავლებდა ხელს, მას წყნარი და მშვიდი ცხოვრება უნდოდა სახელმწიფოში და პროლეტარიატის შფოთითი აღარ მოსწონდა. პროლეტარიატი ბრძოლის ველიდან დამარცხებული გავიდა. რეაქციამ გაიმარჯვა. სადაც კი შესძლო მიანგრ-მო ნგრია მუშათა ორგანიზაციები. საუკეთესო მუშები ქარხნებიდან გამოლალა და ასე მუშათა ძალა შეასუსტა.

აი აქედან იწყება ხაზეინების იერიში მუშებზე. თავდასხმის ტაქტიკა მათ აიღეს ხელში და მიჰყვენ დეკემბრის დამარცხებამდი მუშების მოპოებულ უფლებების წართმევას, დღე ისე არ გაივლის, რომ ამა თუ იმ ხაზეინმა მუშა არ დაითხოვოს, ხელფასი არ დაუკლოს, სამუშაო დროს გადიდება არ მოინდომოს და სხვა...

სადაც მუშებს მჭიდრო და მაგარი ორგანიზაციები აქვთ, სადაც პირობები ხელს უწყობს, ხაზეინების განზრახვას ხელს უშლიან. როგორც თფილისის წყლის მილის გამყვანთა ქარხნის მუშებმა გაუწიეს სასტიკი წინააღმდეგობა თავიანთ ხაზეინებს არსებულ 9 საათის სამუშაო დღის შესანარჩუნებლათ. სადაც კავშირი სუსტი აქვთ, პოლიტიკური პირობები ხელს უშლით, იქ მოგერებასაც ვერ ბედავენ, როგორც რკინის გზის საქონლის საწყობის მუშები, რომელთაც 9 ს. სამუშაო დღე 14 საათათ გაუხადეს. წელიწადში 6 სამგზავრო ბილეთი უნდა მიეცათ, მოუსპეს. ავადმყოფობის დროს ერთი თვის განმავლობაში, ექიმი, წამალი და ჯამაგირი და სხვა ყველა ძველი უფლებები მოუსპეს.

ხაზეინებმა მუშებთან ოქტომბრის და ნოემბრის ამხანაგობა დაივიწყეს და ლუქუცით ბრძოლა აშკარა ბრძოლათ აქციეს. ამ ბრძოლაში ხაზეინებს დაეტყოთ პროგრესი. წინათ თვითეული ხაზეინი ებრძოდა თავის მუშებს, უკანასკნელნი კი დაკავშირებულნი იყვენ სხვა მუშებთან. ეხლა კავშირების სარგებლობა მათაც იგრძნეს და შეუდგენ მის დაარსებას თავიანთ შორის. ერთი პროფესიის სახელოსნოს პატრონნი ადგენენ კავშირებს და ამის შემდეგ ასე უნდათ ბრძოლა მუშებთან.

ის გულუბრყვილო მუშები, რომლებიც თავიანთ ხაზეინებს სოციალისტებს უწოდებდენ, დღეს დარწმუნდენ, რომ თხისა და მგლის დამეგობრება ყოვლად შეუძლებელი ყოფილა.

აი რა გვასწავლა ამ რამდენიმე თვის გამოცდილებამ მუშებს: ხაზეინებთან დამეგობრება და მოყვრობა მუშებისათვის შეუძლებელია. ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა მხოლოდ ბრძოლა მათთან. აქნობამდის თვითეული ხაზეინი გვებრძოდა, ეხლა მათი კავშირები; მაშ საჭიროა მათ კავშირებს დაუპირდაპიროთ ჩვენი მაგარი და ძლიერი პროფესიონალური კავშირები.

როცა მუშები პოლიტიკაში ძლიერნი ვიყავით, ეკონომიურ ნიადაგზეც ადვილი იყო ბრძოლა ხაზეინებთან; როცა პოლიტიკაში დავმარცხდით, ხაზეინებიც ადვილათ გვამარცხებენ ქარხანაში. ამან კიდევ გვასწავლა, რომ ხაზეინებზე გასამარჯვებლათ საჭიროა ყოფილა პოლიტიკური უფლებების მოპოება. ამას მოგვცემს დაწყებულ რევოლიუციის ბოლომდინ მიყვანა, რისთვისაც საჭიროა ჩვენი პოლიტიკური პარტიის გაძლიერება და ბურჟუაზიულ პარტიებისადმი დაპირდაპირება.

მუშა

### ადგილობრივი პრესა

როგორც გუშინ ვთქვით, „ჰარაჯი“ თავის საბუთაბალოთ „შეთანხმების ბიუროს“ იხსენიებს და იქიდან დაშნაკცუთიუნის გამოსვლას „ასაბუთებს“. აი მისი მარგალიტი სიტყვები: გრაფ ვიტეს სამინისტრომ რევოლიუციის ჩასაქრობათ გამოიგონა შეიარაღებული აჯანყება. ეს უშველებელი პროვოკაცია იყო და ამ ხაფანგში ბევრი გაება. ქართული (!?) შოვინისტური (!) სოციალდემოკრატიულათ წოდებული პარტიაც (!?) როგორც არა დამოუკიდებელი*) და ამყოლი სატახტო ქალაქების მოძრაობისა, თვალდახუჭული, ბრმასავით ჰკვა დაკარგული გაება მახეში. დაშნაკცუთიუნი არ მოსტყუვდა, არ გაება იმავ მახეში, რომელიც დაგო მინისტრულ პროვოკაციამ, რომ ამ გზით სწრაფათ „მოზარდი რევოლიუციური მოძრაობა გამოეწვია მომწიფებაზე ადრე“ და ამიტომ „დაშნაკ.“ კიდევაც გამოვიდა შეთანხმების ბიუროდანო.

აი რა ყოფილა თურმე საბუთი დაშნაკცუთიუნისა. მაგრამ ეს საბუთი მათ არ წამოუყენებიათ არც შეთანხმების ბიუროში, როცა გასვლა განაცხადეს, არ წამოუყენებია არც „ჰარაჯს“ იანვარში, როცა „სხივის“ საპასუხო წერილი დასწერა. და აი ახლა მესამე თვეს, როცა გაზეთებმა გამოარკვიეს მინისტრის პროვოკაცია, ახლა ეს გულადი ხალხი აცხადებენ, აი სწორეთ ამიტომ გამოვედით ამ სამი თვის წინეთ ბიუროდანო!.. მაშინდელ თავის მოქმედების საბუთათ ასახელებენ მერმე გამორკვეულ გარემოებას! ღალატს და დადებულ პირობის უარყოფას ახლა ასე გამოგონილი საბუთებით ამართლებენ. ახლა მითხარით, მომხდარა ოდესმე რომელიმე რიგიან პოლიტიკურ ორგანიზაციაში ასეთი იეზუიტური ქცევა და ქვეყნის მასხრათ აგდება? ვინ სურთ ამ ვაჟბატონთ ასეთი ზღაპრებით დაარწმუნონ? განა თვითონ კი სჯერათ თავისივე ნალაპარაკევი? განა „დაშნაკ.“ დაავიწყდა შეთანხმების ბიუროში წამოყენებული საბუთები? და თუ ის ახლა იმას უარყოფს და სხვას იგონებს, მოწმეები, მადლობა ღმერთს ბევრია, თვით მისი მოკავშირე პარტიები—სოც.-რევოლიუციონერები და ფედერალისტები (აგრეთვე პროტოკოლი).

ახლა შეხედეთ ამ ყალბი საბუთების შემდგენელთ როგორ თავმომწონეობენ, ჩვენ ჰკვიანი ხალხი ვართ, მახეში არ გავებით, სატახტო ქალაქებს არ ავყევით! ე. ი. უჭკუობა ჩაიდინეს სოციალდემოკრატებმა, სოც.-რევოლიუციონერებმა, მუშათა დეპუტატების საბჭომ, რკინის გზათა ბიურომ, სატახტო ქალაქებმა—ერთი სიტყვით ყველა რევოლიუციურ პარტიამ, ერთათ ერთი ბრძენი ყოფილა დაშნაკცუთიუნი! ე. ი. სწორეთ ის პარტია, რომელიც ყოველივე რევოლიუციონერობას მოკლებულია. ჩვენნო ბრძენნო, ასეთი სიბრძნე გამოიჩინეთ არა მარტო თქვენ, არამედ ყველა ლიბერალებმა, კადეტებმა და სხვა თქვენმა მოძმე არა-რევოლიუციურ პარტიებმა. ამით მოგაქვთ თავი? განსხვავება თქვენ და მათ შორის ის არის, რომ ისინი თავის თავს არ თვლიან რევოლიუციურ პარტიებათ და არც თავის მოკავშირეთ ღალატობენ. თქვენ კი რევოლიუციონერების სახელით კავშირით შეეკარით სოც.-რევოლიუციონერთ და ფედერალისტთ, ხოლო როცა ერთ ბიუროში მოხდით და საჭირო შეიქნა საქმე, ისინი მიატოვეთ და ახლა ღონისძიებას შემოყრილი საბუთებსაც იგონებთ, მარტო ჩვენ ვიყავით ჰკვიანი ხალხიო!

ვიმეორებთ, „ჰარაჯი“-ს მიერ წამოყენებული საბუთი, ახლა, „პოსტ ფაქტუმ“, შეთხზული საბუთია, ეს ყალბი თამასუქია, რომლის მზგავსი ჯერ არც ერთ რიგიან ორგანიზაციას და ორგანოს არ ჩაუდენია. ნამდვილი, საბუთი კი იყო ის რაც თვით ბიუროში იქნა წამოყენებული და რის შესახებ ბიურომ განჩინებაც გამოიტანა (ეს დაბეჭდილი იყო „სხივში“). ბიუროში დარჩენილმა ოთხივე პარტიამ, მათ შორის „დაშნაკ.“ მოკავშირე სოც.-რევოლიუციონერებმა და ს.-ფედერალისტებმა, ერთხმათ დაადგინეს, „დაშნ.“ გასვლის საბუთები ყოველივე სიმართლეს მოკლებულიაო.

რა საბუთები იყო ეს? სამწუხაროთ ამას ჩვენ აქ სავსებით ვერ მოვიხსენიებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ „დაშნ.“ უკმაყოფილო იყვენ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციით და თხოულობდენ უჩვენოთ არაფერი გააკეთონო. თუმცა შეთანხმების წესდება პირდაპირ ამბობდა, რომ თვითეული ორგანიზაცია თავისუფალია თავის მოქმედებაში, ბიურო პასუხს აგებს მხოლოდ იმაში, რაც მისი სახელით კეთდებაო. ეს წესდება მიიღო დაშნაკციუთუნმაც, ხოლო ბოლოს მაინც იწყო დრტვინვა და მოითხოვა პირობების შეცვლა. ბიურო ამაშიაც დაეთანხმა და სწორეთ ამის მეორე დღეს ისინი მაინც ბიუროდან გავიდენ! მიზეზი? არაფერი, ისე არაფერი, რომ თვით მათი მოკავშირენიც კი გაკვირვებული დარჩენ და მათი ქცევა რეზოლიუციით დაგმეს.

„ჰარაჯი“ თავის წერილში (ახლაც და იანვარში) იხსენიებს ბომბებს, როგორც ერთ მიზეზს ბიუროდან გამოსვლისას. ის დარწმუნებულია, რომ ამ საგანზე მასთან კამათი შეუძლებელია, იცის, რომ წინააღმდეგს ვერას გავუბედავთ და ამიტომ ასე ხშირათ ხელს კიდებს ამ „საბუთს“. რეაქციონერ ჟურნალისტთა ხელობაა მოპირდაპირე ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ თავის გამართლება არ შეეძლოს, და აი ეს დაუწყია „ჰარაჯსაც“. აი „ჰკვიანი“ ხალხის სალიტერატურო ზნეობა და ამით უეჭველია ხვალ და ზეგ კიდევაც დაიტრაბახებენ, მახეში არ გავებითო! მოვიხსენებთ მხოლოდ იმას, რომ მათ ეს ბომბების „საბუთი“ მართლაც წამოაყენეს ბიუროში, მაგრამ როგორც ვთქვით, ბიურომ ერთხმათ უარჰყო ის.

მეორე მხრით, ვთქვით რომ „დაშნაკ.“ უკმაყოფილო იყო სოციალდემოკრატიით, რა შუაში იყო სხვა პარტიები, განა მას არ შეეძლო ამ პარტიებს შეთანხმებოდა და სოციალდემოკრატიისათვის ლაგამი ამოედო? და თუ ეს არ ქნეს—ეს იმიტომ რომ მათ „საბუთებს“ არც ერთი რევოლიუციური პარტია არ შეიწყნარებდა და მოკავშირესაც ვერ იშოვიდა.

მაშ რატომ გამოვიდა „დაშნაკ.“ ბიუროდან? ნუ თუ სრულიად უმიზეზოთ? რასაკვირველია არა, მხოლოდ საქმე იმაშია რომ ნამდვილ მიზეზს მალავენ და ლობე-ყორეს ედებიან. ეს პარტია შესანიშნავია იმით, რომ თავის სახეს, თავის სულის კვეთებას ფარდას აფარებს და სხვის სახეს ჩვენულობს. მას აუხირებია, რევოლიუციური პარტია ვართ და იძულებულია თავისი ნამდვილი

*) საბრალო „ჰარაჯი“ ვეღარ ხედავს იმას, თუ როგორ არღვევს მეორე წინადადებით, პირველ წინადადებას. თუ კი აქაური სოციალდემოკრატია პარტიაა, ცხადია დამოუკიდებელიც უნდა იყოს, და თუ დამოკიდებულია, აშკარაა პარტიის ნაწილი ყოფილა და არა პარტია.

მიმართულება მალოს, მალოს, მარა როდემდის? აი შეთახმების ბიუროში ველარ დამალა და იძულებული გახდა ან მართლა რევოლიუციონერობა დაეჩემია ან გასულიყო. რას ნიშნავდა ბიუროში ყოფნა? ეს ნიშნავდა მთავრობასთან ბრძოლას, ხოლო დაშნაკცაუთუნი ამას ერიდება. ამიტომ მისმა წარმომადგენელმა თავიდანვე დააპირა მალულობიას თამაშობა. მან თქვა, საერთო ფურცელს მოვაწერ არა დაშნაკციუთუნის თფილისის კომიტეტს, არამედ დაშნაკციუთუნის „განსაკუთრებით კომიტეტსო“, ე. ი. მოვაწერ იმას, რაც არ არსებობსო! რატომ? იმიტომ რომ ამით არსებულ ორგანიზაციას თავი ემართლებია, ჩვენ რა შუაში ვართ, ამ საქმეს (მთავრობასთან ბრძოლას) სხვა „განსაკუთრებითი კომიტეტი“ სჩადისო! ეს რასაკვირველია, ბიუროში არ დაანებეს და იძულებული გახადეს თავისი ნამდვილი სახელი მოეწერათ. როგორც ხედავთ, თავიდანვე „დაშნაკ.“ თავის თავს ვერ გრძნობდენ თავის ალაგას და ყოველივე საშუალებას ხმარობდენ რამენაირათ თავი დაეხწიათ ამ მდგომარეობისაგან. ისინი ფურცელსაც სცემდენ, ეს და ეს ტერორისტული აქტი ჩვენ არ გვიქნიაო, რაც უმაგალითო მოვლენაა რევოლიუციურ პარტიებს შორის. არასოდეს რევოლიუციური პარტია არ აცხადებს ეს და ეს საქმე მე არ ჩამიდენიაო, ვინაიდან ეს ნიშნავს მეორის დაბეზღებას. „დაშნაკ.“ კი არხეინათ არღვევდა ამ ელემენტარულ რევ. ეთიკას და იმავე დროს ბიუროშიაც იყო. ბიურომ გამოსცა საერთო ფურცელი, რითაც ვაჭრების გაფიცვას ხსნიდა, ხოლო ნოქრებისას ისევ აგრძელებდა. ამ ფურცელზე ხელი ეწერა „დაშნაკ.“ ორგანიზაციას; ხოლო მეორე დღეს იმავე ორგანიზაციამ გამოსცა ცალკე ფურცელი და მოიწვია ნოქრები მუშაობა დაეწყოთ!

სამწუხაროთ, აქ ვერ მოვიყვანთ ყოველივე იმას, რაც ბიუროში ხდებოდა, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: „დაშნაკ.“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რუსეთში რანაირი რევოლიუციაც უნდა მოხდეს ჩვენს ძალას ვერ გავაქანებთ, ეს თათრების საწინააღმდეგოთ გვჭირიაო. ე. ი. რევოლიუციაში მონაწილეობას ვერ მივიღებთო, ხოლო ბიუროში ყოფნა კი მათ რევოლიუციონერის ელფერს აძლევდა და სახელს უტეხდა როგორც მთავრობის, ისე მისი მომხრე ბურჟუაზიის თვალში. რა უნდა ექნა ასეთ შემთხვევაში? პირველი შეცდომა უნდა გაესწორებია, ე. ი. ბიუროდან უნდა გასულიყო და კიდევაც გავიდა.

ამნაირათ, ერთათ-ერთი ნამდვილი მიზეზი „დაშნაკ.“ ბიუროდან გასვლის არის ის, რომ ის რევოლიუციური პარტია არ არის, მთავრობასთან ბრძოლა არ სურს.

და რადგანაც ამის აღიარება მას რცხვენია, იძულებულია მოლა ნასრედინივით რალაც-რალაცაები მოიმიზეზოს. ეს ორპირი მდგომარეობა, ეს ორ სკამზე ჯდომა აიძულებს „ჰარაჯსაც“ ახლა შეთხზოს მაშინდელი მოქმედების საბუთები და თავისი პარტია ყველა რუსეთის რევ. პარტიაზე მაღლა დააყენოს გაგებით და წინდახედულობით!

სწორეთ ბედნ[illegible]ხი! ამდენი ორპოფობა, ამდენი ტყუ[illegible], ამდენი ყალბი საბუთები და ყოველნაირი ეთიკის (რევოლიუციური [illegible]ნალისტურის) დარღვევა და თან ამდენი რ[illegible] და ტრაბახობა!

დიახ, დრო არის ამ პარტიამ პირბადე აიხადოს და საზოგადოების წინაშე ნამდვილი სახით წარსდგეს. მაშინ სომხის მშრომელი ხალხი ადვილათ გაარჩევს თავის მტერ-მოყვარეთ.

* *

# ახალი ამბები

გაზეთ კავკაზში დაბეჭდილია გენერალ-გუბერნატორის **შემდეგი განკარგულება:** მე, დროებით გენერალ-გუბერნატორმა ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრისამ, მივიღე რა მხედველობაში ყოველდღიური გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“, მავნე მიმართულება, რომლის შეცვლა რედაქციამ არ ისურვა ჩემი გაფრთხილების შემდეგ, 17 მარტს დავადგინე: თფილისის და მის მაზრებში სამხედრო წესების ახსნამდე დასახელებული გაზეთი დაიხუროს.

ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ არა ერთხელ იყო ქუთაისის გუბერნიიდან **წერილები და კორესპოდენციები,** რომლითაც ცდილობდენ იქ მყოფ ქუთაისის გუბერნიის ჯარის მოქმედებას ჩირქი მოცხებოდა.

ამასთანავე ერთ უკანასკნელ ნომერში, მიუხედავათ ჩემი გაფრთხილებისა, რომ კორესპოდენტების მოწოდებულ მასალას უფრო ყურადღებით მოპყრობოდენ, ხელახლა იყო მოთავსებული იმერეთიდან კორესპოდენცია, რომელიც „ნოვოე ობოზრენიემ“ გადაბეჭდა. ეს კორესპოდენცია პირდაპირ ბრალს დებს ჯარის მოქმედებას, თითქოს ისინი წვავენ სახლებს, კლავენ ხალხს, აუპატიურებენ ქალებს და სხვა, ყველა ამის გამო თფილისის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა „ცნობ. ფურ.“ რედაქტორს, რომ შვიდი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დასამტკიცებელი საბუთები ყველა იმის შესახებ, რაც კორესპოდენციაში იყო აწერილი. ამასთანავე რედაქტორს აფრთხილებენ, რომ უკეთუ არ წარმოუდგენია საბუთები, იმ შემთხვევაში გაზეთს დახურევენ სამხედრო წესების ახსნამდე.

✦ 16 მარტს გენერალ-მაიორმა **ალიხანოვმა ფოთიდან** ნამესტნიკს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: რამდენიმე დღის განმავლობაში ზუგდიდის მაზრა მოვიარე, ვნახე რომ ერთი ნაწილი აგიტატორებისა დატყვევებულია და ნაწილი კი გაქცეულა. უმთავრესი მოთხოვნები დააკმაყოფილეს, მხოლოდ მემამულეები არ დაუკმაყოფილებიათ. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა; მცხოვრებლები ხვნა-თესვას და მშვიდობიან მუშაობას შეუდგენ. როგორც სხვა მაზრებში, ისე ფოთშიაც შესანიშნავი წესრიგია, რისთვისაც მადლობის ღირსია ქალაქის სამმართველო და პოლიცია. ზუგდიდში და ფოთში ჯარი არის. ხვალ მივდივარ სოხუმში.

✦ **არსენ ჯორჯიაშვილისთვის** სახრჩობელასთან განაჩენის წაკითხვაზე წინადადება მიუციათ სასამართლოს მდივნებისთვის, მაგრამ ყველას უარი განუცხადებია.

✦ კავკასიის რკინის გზების დროებითმა უფროსმა ბრძანება გასცა რკინის გზის მუშებში **არჩევნების მოხდენის შესახებ.** საერთო ბრძანების გარდა ის კიდევ შემდეგ წესებს აცხადებს: 1) ვანიჭებ რა მუშებს სრულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას რწმუნებულთა არჩევნების საქმეში, საჭიროთ ვცნობ გავაცხადო, რომ წესრიგის დარღვევა და მით გამოწვეული რკინის გზის ქონების გაფუჭება სასტიკათ დაისჯება. საჭირო წესრიგის დასაცველათ არჩევნების დროს მუშები აირჩევენ რამდენიმე თავმჯდომარეს, რომელთა სიას მე წარმომიდგენენ. 2) არჩეულ რწმუნებულთა სია, რომლის ქვეშ ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე და ათი ამომრჩეველი, ორი ეკზემპლიარი მე უნდა წარმომიდგინონ, ერთი გაეგზავნება გუბერნატორს, ერთიც კი გაიკვრება გამოსაჩენ ადგილებში მუშათა საყურადღებოთ. 3) რიცხვი და ალაგი არჩევნების მოსახდენათ ცალკე გამოცხადდება.

✦ იუსტიციის მინისტრმა გააგებია ნამესტნიკს, რომ „თფილისის სამოსამართლო პალატის გასარჩევი საქმე, ოზურგეთის მაზრის, სოფელ ხიდისთავის ახლო 1904 წლის 2 მაის გლეხების მიერ შეიარაღებულ **წინააღმდეგობის გაწევის შესახებ**“ ხელქწიფე იმპერატორმა უმაღლესათ მოსპო.

✦ გუშინ, 18 მარტს, დასრულდა „გრანდ-ოტელში“ ნაპოვნ ყუმბარების გამო პასუხის გებაში მიცემულ პირთა საქმის გარჩევა. ოთხი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ალექ. წკიპურაშვილი და ელ. ხუდადოვი უდანაშაულოთ იცნო, ხოლო დანარჩენთ: კასპარ კაჩაროვს, დავ. კაჩაურს, პეტ. ბალტიჩევს და შიო პავლიაშვილს **უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება** მიუსაჯა.

✦ ზუგდიდის ციხიდან **გაანთავისუფლეს** შემდეგი ტუსაღები: ბერაია, ჯაიანი, გვასალია, მეუნარგია, რაჟდენ ჯაიანი, ნორაკიძე, ზორანდია, ცხადაია, გვასალია, მეუნარგია, გვათუა, გვაძაბია, ცხომარია, კოწია ნორკიძე, ნაჭყებია, ჩაქუა, კვიკვინია, ბუკია, დადიანი, დოლბაია, კირტავა, შუშანია, გვასალია, ჯოლოხავა, ბაძაგუა, ესებუა, დოლბაძე, შანავა, მიქავა, კადანდია და თოდუა. **ქუთაისის ციხიდან:** გვენცაძე, ნიკოლსკი, ვაშაკიძე, სერპაჩევ, მერკვილაძე, ლორთქიფანიძე, რიმკოვსკი, კანწირიშვილი, ქვანია, სტასი, შუბლაძე, ცაგარეიშვილი, თურმელაძე, კარპოვი, გურცილაძე, დოლიძე, მამიშვილი, თევდორე შენგელია და დავით შენგელია. **ყვირილის ციხიდან:** სანადირაძე, არჩვაძე. **ცაგერის ციხიდან:** მღვდელი ბოჭორიშვილი და მიქათაძე.

✦ მოსკოვის ბუტირკის ციხიდან **ციმბირში იგზავნებიან** 14 კაცი, რომლებიც გორის მაზრიდან არიან გადასახლებულნი: ოჰანოვი, პაპიაშვილი, ლომსაძე, კაპანაძე, სარაკოშვილი, ნაზარაშვილი, ფუფუქაშვილი, სუხიტაშვილი, არჩუაძე, მამულიაშვილი, ურიხაშვილი, ციხაშვილი და გამადაშვილი.

✦ პოლიციის მეექვსე ნაწილში მირზოევის ქუჩას ღამის 3 ნახევარ საათზე შემოერტყა ჯარი (ქვეითი და დრაგუნები), ყველა ახლო-მახლო ქუჩები შეჰკრეს და შეუდგენ სახლების **ჩხრეკას.** აღმოაჩინეს ორი ხანჯალი და ერთი რევოლვერი, რის გამო დააპატიმრეს სამი კაცი. ჩხრეკის დროს ბლომათ დაიკარგა ფულები და სხვადასხვა ნივთები.

✦ აგერ ეს ათი დღე იქნება **მეტეხის ციხეში ჩასვეს** სრულიად უდანაშაულოთ გაზეთების გამყიდავი ნიკო ბუხურაშვილი, რომელიც თავისი შრომით არჩენდა ცოლს და წვრილშვილებს—რვა სულს. ამჟამათ ეს საცოდავები ულუკმა-პუროთ არიან დარჩენილი.

✦ გუშინ გამოვიდა პირველი ნომერი ახალ სომხურ ყოველ კვირეულ გაზეთის „კიანქის“ (ცხოვრება.)

✦ თფილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დახურულ იქნა გაზეთი „На поворотѣ“, რომლის პირველი ნომერი გუშინ გამოვიდა.

✦ ამ დღეებში გამოვა ახალი რუსული გაზეთი „Вѣстникъ возрожденія“.

✦ ქალაქის გამგეობამ კიდევ მიიღო სია თფილისის რკინის გზის სადგურზე მოსამსახურეთა, ტეხნიკურ სტასტისტიკის განყოფილების მოსამსახურეთა (22 კაცი), მეორე სარევიზიო სათადარიგო აგენტია (10 კ.), „ტიაგა“ განყოფილებაში მოსამსახურეთა (78 კ.), პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებიდან (12 მ.), და სხვ., რომელნიც **სათათბიროს არჩევნებში** მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ.

✦ ქალაქის საყასბოს ზეითალმა ბ-ნ ვ. ა. ვართანიანცმა ქალაქის გამგეობაშე შემდეგის შინაარსის განცხადება შეიტანა: დღემდე ქალაქის საყასპოს საქმეს სასანიტარო—სამკურნალოს ექიმი სტეფანოვი განაგებს და ამიტომაც **საყასბოს საქმეები** ვერაფერ სანუგეშო მდგომარეობაშიაო. სხვათა შორის ბ-ნი ვართანიანცი აღნიშნავს საყასბოს მუშების უნუგეშო მდგომარეობას, რომლის შესახებ მას ამ ხუთის წლის უკან აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინ შუამდგომლობა, მაგრამ დღემდე ხსენებული მუშების მდგომარეობა ისევ აუტანელიაო. ბ-ნი ვართანიანცი უფასოთ მართავდა საქონლის სადგომის საქმეს და ამ საქმისთვის გადადებულ ას მანეთს თვეში მუშების სასარგებლოთ დებდა. ვართანიანცი დაბეჯითებით ითხოვს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის განთავისუფლებას საყასპოს მეთაურობისგან. ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ განიხილა ვართანიანცის განცხადება და სრულიად უადგილოთ სცნო ვართანიანცის მიერ წამოყენებული საკითხი სტეფანოვის დათხოვნის შესახებ, რადგან სტეფანოვს საყასბოს გაუმჯობესების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვისო. ამის გამო ვართანიანცის განცხადება უყურადღებოთ იქმნა დატოვებული.

✦ თავის უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი **სასამართლოს სტოლის** საქმის მოწყობის შესახებ. დაადგინეს დაევალოთ იურისკონსულტებს განსაკუთრებული წიგნი შემოიღონ ყველა საქმეების და ქაღალდების რიგ-რიგათ ჩასაწერათ. იურისკონსულტებს კი ევალება ყოველ-დღე იარონ სამსახურში და ქაღალდები ხელ-წერილს ქვეში მიიღონ.

✦ მამა დავითი მთაზე **ფუნიკულერის მოძრაობა** ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყება.

✦ **რკინის გზის მოსამსახურეთა** ერთმა ნაწილმა, რომელიც გაფიცვის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს, თხოვნით მიმართეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს მიღებულ იქნენ კან 31 თავიანთ სამსახურში. რკინის გზის უფროსმა ეს საქმე რკინის გზათა გამგების სხვადასხვა ნაწილთა უფროსებს გასცა. ამათ შეუძლიათ თავიანთი შეხედულებით მიიღონ და არ მიიღონ მოსამსახურენი. ეს უკანასკნელნი კი ისე არ იღებენ მოსამსახურეთ, თუ განდარმთა სამმართველოდან მოწმობები არ ექნათ. ასე ამნაირათ, ეს 10 დღეა, რაც მოსამსახურეებმა თხოვნები შეიტანეს, მაგრამ დღემდე ვერაფერი შეუტყვიათ.

✦ **კ.-დემოკრატთა პარტიის** თფილისის ბიურომ ამავე პარტიის მოსკოვის ცენტრალურ კომიტეტისაგან მიიღო მრავალი პარტიული გამოცემა. ამ გამოცემათ ... ბ-ნ სემიონოვი მიერ ლექციის წაკითხვის დროს დაარიგენ ავჭალის სახალხო კითხვათა აუდიტორიაში.

✦ ხონის სოლიცო უბანში კვირისთვის დანიშნული გლეხების **რწმუნებულთა არჩევნები** გადიდო გუბერნატორის მოწერილობით: დაყონებიავ შეჩერებულ იქნეს არჩევნები განსაკუთრებულ განკარგულებამდისო.

✦ ქუთაისის ონიდან მოიყვანეს 18-20

# ფელეტონი

**მიწის დაყოფა თუ მუნიციპალიზაცია?**

გლეხთა მიწათმფლობელობის საქმე ანუ აგრარული საკითხი ჩვენი პროგრამის ერთი უმთავრეს საკითხთაგანია. იმის სისწორით გადაჭრაზეა დამოკიდებული, თუ ვის მიემხრობა რუსეთის ხალხის უმრავლესობა—გლეხობა: ჩვენ თუ რეაქციონერებს. რამდენათ დიდმნიშვნელოვანია ეს კითხვა, იმდენათ სადავოა, მისი გადაწყვეტა მოშავლის საქმეა. ამიტომ მეტი არ იქნება გავიცნოთ ერთი ახალი შეხედულება, რომლის გამომხატველია პ. მასლოვი, აგრარული საკითხის კარგი მცოდნე.

თუ გვინდა გავიგოთ, როგორ უნდა მოეწყოს მიწათმფლობელობის საქმე, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ არის მოწყობილი მიწათმფლობელობის საქმე რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში.

ამ მხრით რუსეთი ორ ნაწილათ შეგვიძლია გავყოთ. სამხრეთ აღმოსავლეთის განაპირა გუბერნიებში, ევროპის რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში და ციმბირში სულ სხვა პირობებშია, ვიდრე შიდა გუბერნიებში. შიდა გუბერნიებში მიწა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ხალხი მაინც ძალზე გაჭირვებულია, და ეს მაშინ, როცა თითქმის ყველა გლეხი მესაკუთრეა, ყველას საკუთარი ყანა და ბოსტანი აქვს. საქმე ის არის, რომ საკუთარი მიწები გლეხებს ბატონ-ყმობის დროსაც ძლიერ ცოტა ქონდათ და ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ხომ კიდევ უფრო ცოტა მიწა ერგოთ: საუკეთესო მიწები მებატონეებს არგუნეს და „განთავისუფლებული“ გლეხი იძულებული გახდა მებატონისაგან შეესყიდა მიწა ან იჯარით აელო. ამან გამოიწვია კაპიტალისტური წყობილების განუვითარებლობა და „ზედმეტი“ ხალხის გამრავლება, ამ ხალხმა კონკურენცია გააძლიერა, რამაც გამოიწვია საიჯარო ფასების აწევა და მოჯამაგირეების ხელფასის დაცემა. რადგანაც გლეხს საკმაო მიწა არა აქვს და არც ბაზარი მოეპოვება, რომ თავისი სამუშაო ძალა გაყიდოს, ამიტომ ის იძულებულია შინაურ მრეწველობას მიმართოს: აქ ძალიან გავრცელებულია ეგრეთ წოდებული „კუსტარნიჩესტვო“ (кустарные промыслы). გლეხს მოყავს პური, ბოსტნეულობა და რადგანაც ეს მას არ ყოფნის, ის რაიმე ხელობას კიდებს ხელს: ქსოვს ტილოს და სხვა მატერიებს, კერავს ფეხსაცმელს, აკეთებს დანებს და სხვ. მას საშუალება არ აქვს გაუმჯობესებული იარაღი შეიძინოს, ამიტომ პირველყოფილი იარაღით მუშაობს. ფული არ აქვს ნედლი მასალა იყიდოს, ამიტომ ამ მასალას ჩარჩიდან ღებულობს, სამაგიეროთ პირობას აძლევს, რომ ნაწარმოები ჩარჩს თითქმის მუქთათ დაუთმოს. ერთი სიტყვით აქაური გლეხი ვერც მეურნეობიდან და ვერც მრეწველობიდან ხეირიან შემოსავალს ვერ იღებს. ბევრი იძულებულია სამხრეთ გუბერნიებს მიაშუროს და იქ არსებული სამუშაო ხელფასი დასცეს. როცა აქაურ გლეხობას უკვირდები, ასე გგონია კაპიტალიზმს შეშინებია „ნაროდნიკების“ წყევლა-კრულვის და „შელოცვის“ და აქ შემოსვლა ველარ გაუბედავსო. და მართლაც, კაპიტალიზმი აქ განვითარებული არ არის, „ნაროდნიკების“ სატრფიალო „თანასწორობა“ გლეხთა შორის არსებობს, მაგრამ ეს არის თანასწორობა სიღატაკის და დაბეჩავების, უუფლებობის და საკუთარი ინტერესების შეუგნებლობის...

სულ სხვაა რუსეთის განაპირა ადგილებში—სამხრეთ-აღმოსავლეთში და ევროპის რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში, აგრეთვე ციმბირში. აქ ბატონ-ყმობა ან სრულიად არ ყოფილა, ან თუ ყოფილა მაგრათ ფესვების გადგმა ვერ მოუსწრია. ამიტომ აქ ბევრია სახელმწიფო და სასოფლო მამულები, მიწის სივიწროვე აქ აგრერიგათ არ არსებობს. ყველაზე უფრო აქ მცხოვრებლებს არსებული ბიუროკრატიულ-პოლიციური წყობილება ახრჩობს. მიუხედავათ ამისა აქ საწარმოვო ძალები საკმაოთ განვითარებულია, ბევრგან გაუმჯობესებული მანქანებია შემოღებული, კაპიტალისტური წყობილება შედარებით უფრო განვითარებულია. მართალია, კაპიტალიზმის თანამგზავრები—სიმდიდრის ერთი ჯგუფის ხელში მოგროვება, უმრავლესობის სიღარიბე და უმცირესობის განცხრომით ცხოვრება, აქაც არსებობს, მაგრამ აქაური ხალხი მაინც გაცილებით უკეთესათ ცხოვრებს შიდა გუბერნიების ხალხთან შედარებით. აქაური მოჯამაგირე, რომელსაც არაფერი გააჩნია გარდა თავისი მკლავებისა, უფრო ადამიანურათ ცხოვრობს, ვიდრე შიდა გუბერნიების მესაკუთრე გლეხი. მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი თავის მეზობელს კონკურენციას უწევს, და თავისი საკუთრებიდან ცოლ-შვილს რის ვაი-ვაგლახით არჩენს, განაპირა გუბერნიების მოჯამაგირე „ხაზეინის“ წინააღმდეგ იბრძვის და შედარებით კარგ ქირას იღებს. ყოველ შემთხვევაში ის შიდა გუბერნიების მესაკუთრე გლეხთან შედარებით თავის თავს ბედნიერათ თვლის და საბუთიც აქვს ამისი.

აქედან ცხადია, თუ სად უნდა ვეძიოთ შველა: კაპიტალისტური წყობილების განვითარებაში. ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ შიდა გუბერნიებში, რაც გლეხებს ნაკლები მიწა აქვთ, კაპიტალისტურ წყობილება ნაკლებათ არის განვითარებული და კლასობრივი ბრძოლაც უფრო სუსტია. პირიქით, განაპირა ნაწილებში; სადაც მეტი მიწაა, კაპიტალიზმიც უფრო განვითარებულია და კლასობრივი ბრძოლაც უფრო მწვავეა. აქედან ცხადია, რომ მიწის მფლობელობის გაფართოვება შიდა გუბერნიებშიაც იმას გამოიწვევდა, რაც განაპირა გუბერნიებში მოხდა. ბიუროკრატიული რეჟიმის დანგრევა და დემოკრატიული წყობილების დამყარება კიდევ უფრო დააჩქარებდა ამ პროცესს.

როგორ უნდა გადაწყდეს აგრარული საკითხი—ეს დღეს ყველას აინტერესებს. ვინ იცის, შეიძლება არავის არ მიექცია ყურადღება ამ კითხვისთვის, რომ ბიუროკრატიულ წყობილების გაკოტრებასთან ერთათ ძლიერი აგრარული მოძრაობა არ დაწყებულიყო. როცა გლეხებმა კანონიერი გზით ვერას გახდენ, ძალას მიმართეს და მემამულეების დარბევა, ტყეების ძალათ გაჩეხვა და სხვა, ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. ამან ყველა დააფიქრა. თუ 1902 წელს მემამულეები (მთავრობის კომისიის წევრები) სატუსაღოს საკმაოთ არ თვლიდენ გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობათ, რადგანაც მათი სიტყვით „გლეხს სატუსაღოში ჯდომა ურჩევნია სოფელში „თავისუფლათ“ ცხოვრებას“, 1905 წელს „ზემცები“ მეტათ თანაგრძნობით მიეგებენ გლეხთა საკითხის გადაწყვეტას. ამათ საჭიროთ იცნეს, რომ მთავრობა ჩაერიოს გლეხების და მემამულეების ურთიერთ დამოკიდებულების საქმეში, ხოლო ამისთვის საჭიროთ დაინახეს წარმომადგენლობითი აართველობის დაწესება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. აგრარული ურთიერთობის გაუქმება მათი აზრით ასე უნდა მოხდეს! 1) უსათუოთ გამოყიდული უნდა იქნას კერძო პირებისაგან ჩამონაჭრები იმ გლეხებისათვის, რომელთაც ცოტა მიწა აქვთ. 2) ყველა სახაზინო მიწები და საუფლისწულო მიწების ნაწილი უნდა გადაიქცეს სახელმწიფო ფონდათ და დამუშავებულ იქმნას მთელი ხალხის სასარგებლოთ, 3) ჩაერიოს სახელმწიფო საიჯარო პირობების დადგენაში, 4) დაწესდეს საგლეხო ბანკი. 5) მოგროს მიწის გამიჯვნის საქმე და სხვ. პოლავის ერობამ 16 მაისს 1905 წელს სხდომზე შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია დადო: მოძრაობის მიზეზია მთავრობის ძნებობა და მემამულეების ექსპლუატაცია, გლეხები დარწმუნებულნი არიან, რომ მთელი მიწა მათ უნდა ეკუთვნოდეს და ამიტომ მიწის ნაციონალიზაცია ერთი საჭირბოროტო კითხვათაგანიაო.

ამ გვარათ „ზემცებ (იგივე მემამულეები) გადაწყვიტეს, რომ გლეხების მიწისმფლობელობა გაფართოვდეს, მაგრამ ისე კი, რომ მათ ინტერესებს [illegible] ევნოს რა, პირიქით, შეეძინოს კიდევ მათი ჩამონაჭრები საქმეს ვერ უშველის, რადგანაც განსაზღვრული არ არის, რამდენი უნდა მიეცეს თითო გლეხს და არც იმის ნათქვამი ვისი ფულით უნდა იქნეს ნაყიდული. მიწის ყიდვის უფლება გლეხსაც აქვს, მაგრამ ეს მას არ შველის, რადგანაც მას საჭირო ფული არა აქვს გარდა გლეხების ჩამონაჭრებით უზრუნველყოფა მემამულეებისთვის მეტათ სასარგებლო იქნება, რადგანაც ეს გლეხს არ ეყოფა და ის იძულებული იქნება ისევ მელეს მიმართოს და მისგან იჯარით აიღოს მიწა. ცხადია, რომ აგრარული კითხვის გადაწყვეტა არ აინტერესებს მემამულეებს, თუ მათ მოწინავე ნაწილს—ლიბერალურობას—ვერ მოუხერხავთ ამ კითხვის [illegible] სამართლიან გადაწყვეტას.

(დასასრული იქნება).

კ. ნ.

...ადგილობრივ ციხეში. სულ გლე... და მუშებია.

17 მარტს ღამის 10 ნახ. საათზე, აკვალის ... ნიკო მოროლნაშვილის სარდაფში ჩასულან ... თოფებიანი სალდათები მეორე მსროლელ ... ონისა ოფიცრით და წაუღიათ ერთი ახალი ... ბენთიანი გარმონი. უკან დადევნებია პადე... ... რონი, მაგრამ მისთვის მხოლოდ თოფის ... ... ლაზებიათ,

... რგმნია. „ახალი კანონი“ —მარტოვისა, ... ბა: „ვისთან ერთათ და ვის წინაალმდეგ“ ... ... ნკოსი, „სახელმწიფო წყობილება სა... ... ში“—რადინისა.

...-ნი პავლე დავითის ძე ციციშვილი გვთხოვს ... ბადოთ, რომ სიმართლეს მოკლებულია ... მე-4 №-ში და სხვა გაზეთებში მოთავსე... ცნობა იმის შესახებ, თითქოს მას და მის ... ნიბისში ეგზეკუცია ჩაეყენებინოთ და სო... შეწუხებინოთ.

## კავკასია.

**ჩოხატაური.** დიდი გაჭირვება დაადგა ...ტაურის საზოგადოებას. ცარცვა-გლეჯას თან ... წვა და სახლების დანგრევა. ჯერ-ჯერო... მხოლოდ დ. ჩოხატაურში და ახლო-მახლო ...ოდენ. ჩოხატაურს გარშემო მყოფი სო... ... ფარცხმა სულ ერთიან გაანადგურეს. რომ ...როთ ამ სოფელში, გეგონებათ აქ ძვე... დროის მონგოლებს გაუვლია და ქვეყა... ...უნადგურებიათ. რაც კი რამ იყო ოჯახში ...რო ყველაფერი წაღებულია. ვერც ერთ ...ში ვერ ნახავთ ვერც ქათამს და ვერც სხვა ...ურ ფრინველობას, რომელიც უმთავრესათ ...დოა გურულების. გარდა ამისა ამ სოფელ... გადასწვეს და დაანგრიეს ოცი სახლი. ის ...ები, რომელიც კარგი ნაშენები იყო დაან... ...ს და ჩოხატაურში ჩაზიდეს. სხვათა შორის, ...რიეს ფარცხმის საზოგადოების მამასახლი... ... სახლი. კარგახანი უნდა, რომ ფარცხმელე... ...წელში გაიმართონ. როცა მოათავეს ფარცხ... ... გაძარცვა, მერე შეუდგნენ სხვა სოფლებს. ...ნაკლები დღე დაადგა ხიდისთავს და სუ... ...სც. ხიდისთავში გადასწვეს ნახევრამდის ...ნები და აგრეთვე ბევრი სახლები. ამ მოქ... ...ების გმირები ყოფილა, როგორც გავიგეთ ...პლასტუნები, რომლებიც ნასაკირალზე უდ... ...ან. მეორე დღეს ისინი რიცხვით ოცდა... ...ი კაცი ჩოხატაურში ასულან და შემდეგ ... გაბრუნებულან ოზურგეთში, თავის ჩვეუ... ...ბრივი ძარცვა-გლეჯით. ამას წინათ ჩვენ ვწერ... ...თ ბ-ნ ბელოუსოვზე და მის მოქმედებაზე. ... მისი გამოისობით, ჩოხატაურში დაუჭე... ...იათ ორი ემაწვილი სერგო სიხარულიძე და ...ტონ ჩიკვაძე, ბევრს სდევენ. ზოგიერთი ...ავანის სახლებიც დაუწვავთ. ამ დღეებში ... გაანთავისუფლეს რაფიელ შარაშიძე, რომე... ...ჭირეს ჩოხატაურში, ჯარის შემოსვლის დროს ... რომელსაც რევოლიუციონერების რაზმას ...როსობას აბრალებენ. როგორც ნამდვილე... ... გავიგეთ, დაჭერილებს სამხედრო სამართალ... ...ძლევენ.

იქაური

**ქუთაისი.** შაბათს, 11 მარტს, მოხდა ქუ...ისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, სა... ...გ აირჩიეს ორი ამომრჩეველი სახელმწიფო ...თათბიროსთვის: ანდრია ერისთავი 33 ხმით— ...წინაალმდეგ და გლ. მაქლაძე 34 ხმით—1-ს ...აალმდეგ.

თავმჯდომარე გუბ. თავ.-აზნაურობის მოურა... ს. დ. წერეთელი კრების გახსნისთანავე ...ხოვს კრებიდან ყველას, ვინც ცენზის უქონ... ...ობის გამო საარჩევნო უფლებას ვერ მიეკარება ... ამის წინაალმდეგ გამოჩნდენ მხოლოდ სამი ...რი, გლ. მიქელაძე, დავ. მიქელაძე და ვექ... ...რკველია რომელთაც საჭიროთ და კანონიე... ...თ სთვლიან რჩევის ხმით „ქამეშაძეების“ ...ნც დასწრებას. თავმჯდომარეს უკან მიაქს ...ისი განკარგულება. სიტყვას იღებს დავ. მი... ...ლაძე, რომელიც დაბეჭდილ მოხსენებას კით... ...ლობს. ეს მოხსენება შეიცავს, უკრაული პა... ...სია, „პროტესტს“, ჩვენ ქვეყანაში რეპრესიე... ...ს წინაალმდეგ. მოხსენება თხოვს თავად-აზ... ...ურებს გამოთქვას თავის აღშფოთება (не-...довани℮) იმ რეპრესიების გამო, რომე... ...ც დაუმსახურებლათ თავს დაატყდა ჩვენ ...რეს და ითხოვს მეფისგან სენატო... ...ს რევიზიის დანიშვნას ამ საქმის გამოსაძიებ... ...თ. ბ-ნ დავითს სრული იმედი ჰქონდა რომ ...ბა მის წინადადებას მიიღებდა, მაგრამ მოტ... ...ვდა. მის მოხსენებას მხარი დაუჭირეს აპ... ...დისმენტით მხოლოდ გარეშეებმა, ქანდარის ...ებმა. კრებამ ამის შესახებ ჩაიდუდის წყალი ...ლია, თავმჯდომარე ამ მოხსენებას უყურადღე... ...თ ტოვებს და გადადის მორიგ კითხვაზე. ...ება კომისიის ერთი წევრი, კალ. ჩიკვაძე, ...მელიც აცხადებს სახ. სათათბიროსთვის კან... ...დატებს: ან. ერისთავს, გლ. მიქლაძეს, ...რთქიფანიძეს, და აკაკი წერეთელს. ტოტა ...თბირის შემდეგ უკანასკნელი კანდიდატურა ...რუთფილი იქმნება და ყურს უგდებენ პირველ ...ს. შედეგი ვიცით. შემდეგ დგება კალისტრატე ... წინადადებას აძლევს კრებას: გაეგზავნოს მე... ...ეს უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოხა...

...ტყვლი ადრესი, და მადლობა „17 ოქტომბრის“ მანიფესტისათვის (!).

უკანასკნელის შესახებ ერთი ხნიერი ფეოდალი ნიშნ-მოგებით შენიშნავს, „როგორ მოგწონთ, 17 ოქტომბრის მანიფესტისთვის მარტში მადლობა და სხ. კრების ერთი წევრი ნიჟარაძე (წიათ. მრეწველი.), კალისტრატეს წინადადება სასტიკის რეპრესიების შესახებ ჩვენში, ტელეგრამათ ნამესტნიკს ეცნობოს, სასტიკოლოთ იღებს: „ვაცნობოთ, შევატყობინოთ“ შეიძლება ამ რეპრესიების შესახებ დაშკოვმა არაფერი იცოდესო,—მაშინ კალისტრატე შინაურებში ნიადაბს იხდის და ხმა მაღლა ამბობს:—უნდა ისე მოვიქცეთ სხვანაირი გზა არ ვიცითო—ჩვენებურათ რომ ვთქვათ, უნდა ეიფლიდოთო. ამის შემდეგ ფარდა ეშვება და კომედია თავდება. ესეც შენი ზედა პალატის არჩევნები! როგორ მოგწონს, მკითხველებო, ხომ სჯობს ჩვენი ლენდ-ლორდები თავისი ინგლისელ თანამოძმეებს! როგორც მკითხველი დაინახავს ეს ჩვენი თათქარიძეები გარეგნულადაც არ გამოცვლილან. სიფლიდე ერთმანეთის პირში ქება, ზურგს უკან კი ენის „გადმოგდება“, წოდებრივი სიყოყოჩე, ჩინ-ტემლაკების თაყვანისცემა, მონური სული, საშინელი გონებრივი სიველურე, აზიურ დაუდევრობასთან ერთად—აი რა თვისებებით არიან შემკული ჩვენებური ცენზიანი თავ.-აზნაურობა.

დ. ბ.

**ახალსენაკი.** ალიხანოვ ავარსკი, „დამამშვიდებელი“ შეუდგა სამეგრელოს აოხრებას. 10 მარტს ალიხანოვი დიდი ამალით ჩამოვიდა სენაკში. სენაკელებს ჩვეულებრივი მოთხოვნილება—ულტიმატუმი გამოუცხადა—განსაკუთრებით ითხოვს ორი აგიტატორების გაცემას, (კ. დ. ქავთარაძეებს.) წინაალმდეგ შემთხვევაში მთელ სენაკს გადაწვა-აოხრებას ემუქრება. კვირას 12 ამ თვეს ამ საქმის გამო ალიხანოვის მიერ მოწვეული არის ყრილობა. ყრილობის შედეგები ჯერ არ ვიცით!

დ. მ.

**ხოფ. სვერი** (შორაპნის მაზრა). არც ჩვენი სოფელი დასტოვეს უყურადღებოთ ყაზახ-რუსებმა. აქ ც გვეწვიენ 15 მარტს აფიცრის და ბოქაულ წერეთლის წინამძღოლობით; მიდიოდენ სოფ. საბაჟოს რაზმელების დასაჭერათ, დაიჭირეს დაბეზღებით ორი კაცი, არაფერი აღმოუჩენიათ. მობრუნდენ სოფ. საბაჟოდან და ეწვიენ სოფ. სვერს, მოთხოვეს ხალხს სადილი. სადილი მაშინვე მიართვა სოფელმა, მათთან ერთათ ჩვენებურმა განათლებულმა სტუდენტებმაც და ბარიშნებმაც მოილხინეს და ჩვენი სულიერი მამა ტოლუმბაშათ ბრძანდებოდა. ქეიფის შემდეგ ცარიელ სადვინე-ჩაფებს აფიცერმა ლევორველით სროლა დაუწყო და დაამტვრია. შემდეგ ამოიღო უბიდან ქაღალდი და ამოიკითხა შვიდი კაცის გვარი და უბრძანა ადგილობრივ მამასახლისს მათი მოყვანა. ამ შვიდი კაციდან ორი იქვე იყვენ და დანარჩენები მეორე დღეს გამოცხადდენ. 15-ს, საღამოთი ყაზახები წავიდენ და დასწვეს სოლომონ, მალხაზ, იოკიმე, ნიკო, მიხა და გიგო ცუცქირიძეები. ამათ ბარაზე არაფერი გაუშვიათ იმ დღესვე გაბრუნდენ ჭიათურაში. ხალხს ეგონა მეტი აღარაფერი მოგვივაო, მაგრამ დახეთ ბედს, მეორე დღეს, ე. ი. 16 მარტს დილის 11 საათი იქნებოდა, რომ ჭიათურიდან და ყვირილიდან კიდევ მოვიდენ კაზაკები. მოსვლისთანავე შეუდგენ სოფლის დარბევას. ქალები სულ ტყეში გაიხიზნენ. ერთი ქასათხოვარი ქალი დაიკარგა და მეორე ჭკუიდან შეიშალა. დაკარგული არც დღეს ჩანს. კაზაკები აქვე დგანან. ცარცვა-გლეჯა ჩვეულებრივზე გადამეტებულია. ამას წინეთ სოფ. წევაში მოკლეს გრიშა გაჩეჩილაძე. რა მოგვივლის არ ვიცით.

ტ. იმედი.

### ერთხელ კიდევ ქამელეონებზე.

„ცნობის ფურცელი“ გაურბის (ერთხელ კიდევ გაურბის!) თავის სიტყვებს. მე არ მითქვამსო—ამბობს ის რომ ვითომ ხალხი მოუმზადებელი იყო და სოციალდემოკრატიამ გამოიწვია დეკემბრის აჯანყებაო. საწყალი „ცნობის ფურცელი“! რამდენათ უნდა ეშინოდეს კაცს რევოლიუციონური პირდაპირობის, რომ ასე წარამარა უარჰყოს თავისივე სიტყვები! იძულებული ვართ გავიმეოროთ „ელვაში“ ნათქვამი.

„ცნ. ფურც.“ სწერდა 2997 №-ში, რომ სოციალდემოკრატიის ცენტრალისტურმა ტაქტიკამ დალოცა დეკემბრის გალაშქრებაო: „ყველამ იცის, რა ნაყოფი მოიტანა ჩვენი ხალხისთვის ამ ტაქტიკამ... წაიკითხეთ, რას იწერებიან ჩვენი აწიოკებული სოფლებიდან და დაინახავთ, რა ფასი ჰქონია მეფირალა ენერგიას“, (იხ. „ცნ. ფურცელი“ №2997).

რაში შესდგება ეს სოციალდემოკრატიისაგან მიღებული ცენტრალიზმის ტაქტიკა, როგორ ესმის ეს „ცნ. ფურცელს“?

ცენტრალიზმის ტაქტიკა—ეს „ბრძოლის ველზე ბრძანებით ადამიანების გაყვანაა“, წერს „ცნ. ფურცელი“ (იხ. №2999).

ამიტომ იყოვო, გვეუბნება „ცნ. ფურცელი“, რომ „ცენტრალურ ორგანიზაციებისაგან გამოცხადებული ორივე საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, ნოემბრის და დეკემბრის, დამარცხდა“ (იხ. №2999).

როგორცა ხედავთ, დეკემბრის გალაშქრების დროს, სოციალდემოკრატიას ცენტრალისტური ტაქტიკა უხმარია, ესე იგი, „ბრძოლის ველზე ბრძანებით გამოუყვანია ადამიანები“ და ამით წაუხდენია დეკემბრის საქმე. მაშ გამოუწვევია, თუ არა სოციალდემოკრატიას დეკემბრის გალაშქრება? თუ სოციალდემოკრატიამ ნოემბერში და დეკემბერში „ბრძანებით გამოიყვანა ბრძოლის ველზე ადამიანები“, მაშინ თავისთავათ ცხადია, რომ დამწყებიც და გამომწვევიც სოციალდემოკრატია ყოფილა. ეს ისე ცხადია, ისე აშკარაა, რომ რაც უნდა ეცადოს „ცნ. ფურცელი“, მაინც ვერაფის მოატყუებს. როგორცა ხედავთ, „ცნ. ფურცლის“ აზრით, სოციალდემოკრატიას გამოუწვევია დეკემბრის გალაშქრება და არა მთავრობას. „ცნ. ფურცელი“ გვეტყვის, რომ სოციალდემოკრატიის ტაქტიკაზე ვლაპარაკებითო. აი სწორეთ ამასა ქვია თავისავე მახეში გაბმა! ჩვენც მაგას გეუბნებით, ლოღიკასთან მწყრალო „კრიტიკოსებო“, რომ თქვენი „აზრით“ სოციალდემოკრატიის ტაქტიკა, რომელიც მან დეკემბრის აჯანყებას მიუყენა—ეს ბრძოლის ველზე „ძალით გაყვანაა ადამიანების“, ეს კი სწორეთ იმასა ნიშნავს, რომ თქვენ სოციალ-დემოკრატიას აბრალებთ დეკემბრის აჯანყების გამოწვევას. ტყუილათ გაუბრაზებიხართ თქვენს სიტყვებს, სულ ერთია ჩვენ მაინც ვერსად გაგვექცევით.

რაც შეეხება „ცნ. ფურცლის“ ფანდს, რომ ვითომ მისი აზრით ხალხი მოუმზადებელი არ ყოფილა და ამას „ელვა“ გვწამებსო, ჩვენ პირდაპირ უთითებთ ცნობილ წერილზე „მოძრაობა კავკასიაში“ № 2989 (ამაზე ჩვენ „ელვა“-ში უთითებდით), სადაც ავტორი სწორეთ ხალხის მოუმზადებლობაზე ლაპარაკობს დეკემბრის აჯანყებისთვის. ტყუილი ვერ გიხსნით, ბატონებო!

მაშ ასე, ხალხი მოუმზადებელი ყოფილა, მაგრამ ცენტრალისტური ტაქტიკით შეპყრობილ სოციალდემოკრატიას „ბრძოლის ველზე ბრძანებით გამოუყვანია ადამიანები“, ე. ი. მაინც გამოუწვევია დეკემბრის აჯანყება და მით სამარე გაუთხრია მისთვის. ასე სწერდა „ცნ. ფურცელი“.

ორში ერთი. ან ამოჰრან ზემოთ მოყვანილი სიტყვები „ცნ. ფურცლიდან“, ან და საქვეყნოთ აღიარონ, რომ ბ-ნნი „ცნობის ფურცლელები“ ასეთსავე დემაგოგიას ეწეოდენ სოციალდემოკრატიაზე, როგორსაც დღეს „ივერია“ ეწევა.

სანამ ასე არ მოიქცევიან, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ „ცნობ. ფურცელი“ ყოველ დღე ახალ ნიმუშებს იძლევა ძველი და დამპალი ქამელეონობისა.

რა ვქნათ, რა წყალში ჩავარდეთ, თუ სხვანაირი დასკვნა არ გამოდის გაზ. „ცნ. ფურცლის“ საქციელიდან?

ი. ბესოშვილი.

## მუშათა ცხოვრებიდან

**იარალოვის ქარხანა.** დიდი ბრძოლა დასჭირდა იარალოვის ზავოდის მუშებს. რომ საშუალო საუკუნისებური ექსპლუატაცია მოესპოთ და მით გაუადვილებინათ ხაზეინთან ბრძოლა. ეს ექსპლუატაცია გამოიხატებოდა იმაში რომ ერთ ზავოდში რამდენიმე ცალკე ზავოდები იყო შექმნილი რასაც ფოდრაჩიკები უდგნენ თავში. თვითეულ ფოდრაჩიკებს კიდევ წვრილი ფოდრაჩიკები ჰყავდათ და ამ უკანასკნელთ კი დაქირავებული მუშები. ამასთან ერთათ გამეფებული იყო ნაჭრობით მუშაობა დღეს ყველა ეს მოსპობილია არც ფოდრაჩიკები და არც ნაჭრობით მუშაობა აღარ არსებობს ამ რამდენიმე დღის წინათ იარალოვის უპრავლიაუშჩიმა ბ. მუხარინსკიმ მოიწადინა ექსპლუატაციის ძველი ფორმის აღდგენა და რაკი მუშებში ვერას გახდებოდა ბაქოდან ჩამოიყვანა ფოდრაჩიკი მუშები. მუშებმა რომ გაიგეს ეს, კანტორასთან თავი მოიყარეს და პროტესტი გამოაცხადეს, მუშებმა გადაწყვიტეს თუ ფოდრაჩიკობა იქნა აღდგენილი, ისინი გაფიცვასაც არ დაერიდებიან რომ ეს უსამართლობა მოსპონ. ბ. მუხარინსკიმ ფოდრაჩიკი მუშები უკანვე წაიყვანა, ამას შემდეგ რას ფიქრობ სმუხარინსკი არ ვიცით.

მუშა.

**შადინოვის სავაჭრო მაღაზია და საწყობი თფილისში.** ბ-ნი შადინოვი გამდიდრების მეტს არაფერს ფიქრობს და მუშებს ისე უყურებს, როგორც თავის მოსახმარ მასალას, სიმდიდრის შემქნელ მანქანას. არ ვიცი, რომ სხვაგან იყოს ასეთი სასტიკი პირობები, როგორც აქ. მას აქვს შვიდი მაღაზია და ერთი სკლადი, მაღაზიებში მუშაობენ 28 კაცი, სკლადში 6. დღე რეაქციის გაძლიერებით გაგვაგრძელა და წინეთ რომ დილის 7 საათიდან, საღამოს 7 საათამდე იყო, ახლა დილის ექვსიდან საღამოს შვიდ ნახევარ საათამდე გვამუშავებს, სკლადში კი საღამოს რვა საათამდი. შრომა განსაკუთრებით საწყობებში, აუტანელია ყველის ნაღების და სხვების სუნით აყროლებულია ჰაერი, საშინელი დგ ს. მუშები იძულებული არიან ბნელ სარდაფში იმუშაონ. ბევრი ძნელი სამუშაოს გამო ავათ ხდება, აი მაგ. დ. ბ. 15 წლისაა, მუშაობს მთაკარ კაცებთან ერთათ. წელიწადნახევარია ამ სარდაფში ჩაკლა თავისი ჯანი, მძიმე ტვირთის აწევით ბაყვები ჩამოუსივდა. იღებს თვიურათ 10 მანეთს. ავადმყოფობის მოსარჩენათ ხაზეინი თავს არ იწუხებს. პირიქით ასეთ დროს ის ითხოვს მას სამუშაოდან. იცვლის, როგორც ძველ ხელთათმანს. შეგიძლია შრომა, უნდა მის ჯიბეს შემატო ფული, დასნეულდები—გადაგაგდებს. ხარ მის ხელში, ადამიანი თუ ნივთი?

ასევე აწამებს ნოქრებს სავაჭროებშიც. აი მაგ. ს. ა. 12 წლისა თუ იქნება—იღებს 5 მანეთს თვეში, მუშაობს აქ ერთი წელიწადია. დღეში 13 საათი უნდა იტრიალოს, რომ მუშტარს აუვიდეს. ფერი და ხორცი დაკარგული აქვს. მარა თუ ფიზიკურათ ასე სტანჯავს, სულიერათაც ნაკლებ წამებას არ აყენებს. სასტიკი დისციპლინაა შემოღებული. ვინც დაიგვიანებს დილით რამდენიმე წუთს, ან საღამოს ადრე დატოვებს მაღაზიას, ჯარიმას ვერ აცდება, თუ სულ არ იქნა დათხოვნილი.

რეაქცია ხელს უწყობს და რა ენაღვლება. მარა არ შერჩება კი ასეთი ნავარდობა!

ეს კიდევ ცოტაა. არა თუ სამუშაო დროს, თავისუფალ დროსაც თვალ-ყურს ადევნებს, რადგან ბინა მისგანვე ეძლევათ. ნოქარი ვალდებულია მაღაზიიდან პირდაპირ სახლში მივიდეს; ვერც ნათესავთან, ვერც ნაცნობთან ვერ წავა, თუ ადგილიდან გაგდება არ უნდა. მუშა ჩემია დღეც და ღამეცო. მოდით შინ დაიძინეთ, რომ ხვალ კარგათ იმუშაოთ, არ გეძინებოდესთ—ერთი სიტყვით ხელში უავს ჩაჭერილი ყველა მუშები, რომ მის ნებას ვერავინ გადავიდეს. გაზეთების ან წიგნების კითხვა სასტიკათ აკრძალულია. მაღაზიაში ხომ გაზეთს ვერ გამოაჩენენ, მარა არც შინ აკითხებს და რადგან თვალ-ყურის დევნება არ შეუძლია, ამიტომ ის მოახერხა, რომ სანთელს არ აძლევს, ახლავე დაწექით, წიგნები არ იკითხოთო. ამ ნაირათ სანთლის ფულსაც ირჩენს და მუშებსაც საბნელეში სტოვებს. მარა როდემდის? მოვა ჩვენი დროც და მაშინ მიიღებთ პასუხს!

ნაამბობი.

**მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების კონფერენცია რუსეთში.** თებერვლის დამდეგს შედგა კონფერენცია მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებისა. კონფერენციამ მიიღო, სხვათა შორის ასეთი რეზოლიუცია, ახალ კანონის შესახებ, რომელიც კავშირების შედგენას ეხება: „გარდა სრული პოლიტიკური თავისუფლებისა, რომლის აუცილებელ ნაწილს შეადგენენ თავისუფლება კრების, კავშირების, ბეჭდვის, პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობა, თვითოეულ მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო კანონმდებლობაში განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ყველა ამათ გარდა რომ პროფესიონალური კავშირები, რომელნიც წარმოადგენენ პროფესიებათ შეკავშირებულ მუშების ორგანიზაციას კაპიტალისტების წინაალმდეგ საბრძოლველათ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის (სამუშაო დღის შემოკლება, ხელფასის მომატება და სხ.) ნორმალურათ განვითარდენ. საჭიროა აგრეთვე სრული თავისუფლება გაფიცვებისა და კოალიციებისა.

მხოლოდ ასეთ პირობებში როდესაც სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებიდან გამოდევნილია ყველა დადგენილებები, რომელნიც ზღუდავენ გაფიცვების და კოალიციების თავისუფლებას, შესაძლებელია სრული ლეგალიზაცია პროფესიონალურ კავშირებისა.

ამიტომ, მავიდეთ რა მხედველობაში, რომ როგორც მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი, ისე ის ცვლილებები, რომელიც შეიტანა მასში სახელმწიფო საბჭომ, ცდილობენ წაართვან მუშათა კლასს მისი ძირითადი პოლიტიკური უფლებები, რომ არც არსებული მთავრობისგან, არც სახელმწიფო სათათბიროსაგან მუშები არ უნდა მოელოდენ ზემოაღნიშნულ პირობების განხორციელებას, კონფერენცია ყოვლად შეუძლებლათ სცნობს თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში პროფესიონალური ორგანიზაციები ლეგალურათ გახადოს.

მარა თვლის რა რომ პროფესიონალურ მოძრაობის გასავითარებლათ კავშირების ფართო და აშკარა მოქმედებას, კონფერენცია ურჩევს მუშებს პროფესიონალურ კავშირების დროს ისევ განცხადებითი სისტემა (ЯВОЧНЫЙ ПОРЯДОКЪ) იხმარონ.

იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონ-პროექტი ძალაში შევიდა, კონფერენცია შესაძლებლათ სცნობს ისარგებლოს ამით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ სხვა გზით კავშირების არსებობა შეუძლებელი გახდება, და ამით ეს კანონი მუშათა დამონების იარაღიდან მუშათა კლასის ახალ, შეურყევარი, ბრძოლის იარაღათ გადაქციოს, გაფიცვების და კოალიციის უფლებების მოსაპოვებლათ.

### ექვთიმე (ხარიტონ) მუჯირის ხსოვნას.

1905 წლის 6 დეკემბერს ოდესის ვიწრო და ნესტიან ოთახში სული განუტევა ახალგაზდა მებრძოლმა ექვთიმე მუჯირმა. ხანმოკლე იყო ექვთიმეს სიცოცხლე, მაგრამ მასთან ძლიერ ნაყოფიერიც. აქ არ შევუდგები განსვენებულის ცხოვრების ვრცლათ აღწერას. 1903 წელს ექვთიმემ დაასრულა ბათუმის გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში შევიდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის გამოფხიზლების საქმეში. განსვენებული გულ-მოდგინეთ მუშაობდა აგრეთვე მუშათა წრეებში, რითაც ადგილობრივ ორგანიზაციის დაუფასებელ სამსახურს უწევდა.

1903 წლიდან ექვთიმემ თავისი მუშაობა ოდესაში გადაიტანა. ოდესის ნავთსადგურის მუშებისთვის ძვირფასია ექვთიმეს სახელი. მთელი ორი წლის განმავლობაში მათთან ერთათ განსვენებული შეუდრეკელათ იტანდა არსებულ რეჟიმის სიმკაცრეს.

ექვთიმე იმხვერპლა მთავრობის პროვოკაციამ. მთელ რუსეთში ებრაელების აწიოკება დაიწყო, სხვებთან ერთათ ექვთიმეც გამოვიდა ქუჩაში და დაბეჩავებულ ხალხს გამოესარჩლა.

6 დეკემბერს, როგორც ყოველგან, ისე ოდესაშიაც ხულიგანების მანიფესტაციას მოელოდენ დილით, როცა ექვთიმე თავის რაზმს იარაღს ურიგებდა, ერთ მუშათაგანს გაუფრთხილებლობის გამო გაუვარდა რევოლვერი და ექვთიმე უსულოთ დაეცა ამხანაგის ტყვიით განგმირული. ადგილობრივმა ორგანიზაციამ შესაფერი პატივისცემით გამოისტუმრა განსვენებული. გზა-გზა ურიცხვი ხალხი დროშებით და გვირგვინებით ეგებებოდა. სხვათა შორის, დიდი ამბავით შეეგება ფოთი და სამტრედია. გაფიცვების გამო მხოლოდ 27 დეკემბერს მიასვენეს ექვთიმე ოზურგეთში. მეორე დღეს გაიმართა დიდებული მიტინგი დროშებით და რევოლიუციურ სიმღერებით. ათ-თუთხმეტმა ორატორმა ნათლად დაახასიათეს განსვენებულის ღვაწლი. საღამოს 4 საათზე ექვთიმე გაასვენეს ს. მაკვანეთში, სადაც სამ დეკემბერს დაასაფლავეს. აურაცხელი გვირგვინები ამკობდენ განსვენებულის კუბოს. კერძო პირების გარდა, 20 სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან იყო.

მეტათ დიდი გავლენა იქონია ხალხზე განსვენებულის დედის უკანასკნელმა გამოსათხოვარმა სიტყვებმა: მშვიდობით, ჩემო ნენავ, დამილოცნია შენთვის ორივე ძუძუები, ჩემო ნუგეშო; იმედი მაქვს, რომ შენი საყვარელი საქმე მალე გაიმარჯვებს, გაუმარჯოს შენ საყვარელ მუშა ხალხსო!.

დიმიტრი.

## რუსეთის პრესა

ბნელ ძალებს ახალი აჩრდილი აშინებს. „ნოვოე ვრემია“ ისე იგრიხება, როგორც გველი, რომელსაც წელზე ჯოხს დაკრავენ. ქრისტეს გამყიდველი იუდა, ბ-ნი მენშიკოვი ნიანგის ცრემლებს აფრქვევს რუსეთის ერის მოსისხლე მტერის გაზეთ „ნოვ. ვრემიას“ ბინძურ ფურცლებზე.

„რუსეთისკენ ორი ტალღა მოექანება,—სწერს იგი—გაუძლებს თუ არა ამ ტალღას ჩვენი ქვეყანა? მანჯურიიდან ბრუნდება მრავალჯერ დამარცხებული არმია, იაპონიიდან აგზავნიან ტყვეებს. აი ეს ტალღები უნდა გადაერიოს რუსეთის ველს, ამ ტალღებმა უნდა დასცეს სულიერათ ისედაც დაცემული რუსეთის ერი. ბრუნდება 500 ათასი მოწამე ჩვენი მოღვაწეებისა და მხედრობის. აქამდე გაზეთები ლაპარაკობდენ იმის შესახებ, ეხლა ალაპარაკდებიან ცოცხალი ადამიანები. იმათ დაუჯერებენ... ისინი იტყვიან ალექსეევის, სტესსელის, ნებოგატოვის და კუროპატკინის ამბებს, ისინი მომავალ შთამომავლობას დაუტოვებენ ნათქვამს. ზნეობრივი ზარალი ომისა—განა ამის აღრიცხვა შეიძლება? ნახევარ მილიონ ხალხს ლაპარაკს ხომ ვერ აუკრძალავ? გლეხების ქოხებში, რუსეთის თვალ-გადაუწვდენელ სივრცეზე მოყვებიან ისინი თავიანთ გულის ტკივილს. ეს იქნება ყოველივე პრაპაგანდაზე უარესი და ვინ იცის რა შედეგი მოყვება ამას!.. რით ვანუგეშოთ, რით დავაწყნაროთ შეურაცხყოფილი ხალხი“?

აჰა, საქმე ცუდათ ყოფილა, გველს უკვე დაჰკრეს სასიკვდილო ჯოხი. ჩვენი იუდა სიკვდილის თავიდან აცილებას ფიქრობს. მას კიდევ უნდა იცოცხლოს და აცოცხლოს ისინი, ვის წინაალმდეგაც უნდა ამხედრდეს ნახევარი მილიონი „პროპაგანდისტი“. და აი ჩვენი „ქრისტიანი“ მენშიკო-

ვი, რომელიც ისე სიტყვას არ მოიბრუნებს, რომ „მოყვასნი“ არ ახსენოს, ის ომს ქადაგებს, ის ჯარი ისევ ომში უნდა გავუშვათ, რომ... გამარჯვება ვანახოთო. ეს „გამარჯვება ჩვენებურ ენაზე ასე უნდა გადმოითარგმნოს, შევაკლათ მტერს ეს ნახევარი მილიონი მტერი, რომ ჩვენ მშვიდობით ვიბოგინოთო. აი ასეთი „ქრისტიანია“ ჩვენი იუდა, აი ასეთი ფარისევლები სწერენ წერილებს „მოყვასებთან“.

„ჩვენ ფლოტი არა გვყავს, მაგრამ არმია ხომ ცოცხალია?—კითხულობს იუდუშკა,—არა გვყავს ნიჭიერი გენერლები, მაგრამ ხომ არიან რენენკამპფები, მიშჩენკო, სიჩევსკები, ლეშები, დანილოვები, ზარუბაევები და სხ. ვინ იცის, მათი მომავალი ხომ წინ არის... ხოლო იაპონიის დამარცხება, ეს ერთი გამარჯვება კი არა, ორი იქნება...“

და ეს გენერლები გამარჯვებას თუ არა ხალხის გაჟლეტას მაინც ხომ შეიძლებენ და მენშიკოვსაც ეს უნდა.

## რუსეთი

**სოც.-დემოკრატების პროკლამაცია.** ვარშავაში სოც.-დემოკრატებმა გამოსცეს პროკლამაცია, რომლითაც იწვევენ თავის წევრებს იმ ყაჩაღების გასაჟლეტათ, რომლებიც ამ პარტიის სახელით სასიკვდილო განაჩენს უგზავნიან ფულიან კაცებს რომ ფული გამოსტყუონ, რითაც რევოლიუციას ჩირქი ეცხებათ.

**მთავრობის რეპრესიებმა** რიაზანსკში ის ნაყოფი გამოიღო რომ მრავალი წევრი 17 ოქტომბრის კავშირისა კონსტიტუც.-დემოკრატების პარტიაში გადავიდა.

**ქაღალდის ბაჟი.** სახელმწიფო ფინანსების შესავსებათ განზრახვაა ქაღალდზეც ბაჟი შემოიღონ. ამ ნაირათ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გაძვირდება, ესეც ერთნაირი მოსაგებია მთავრობისთვის—არ წაიკითხავ, არ მოწყვიანდები, არ მოწყვიანდები და მათაც ეს უნდათ. ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს ჩვენი ბიუროკრატია.

**შეიარაღება.** რკინის გზის სადგურების ჟანდარმებს რევოლვერს გარდა ვინტოვკებსაც დაურიგებენ.

**მამა იოანე კრონშტადელს** ნიშნათ ღრმა პატივისცემისა ასეთი დეპეშა გაუგზავნეს:

„ტემნიკოვის ღარიბ მოწაფეთა საზოგადოების კრებამ ერთხმათ დაადგინა თქვენი მაღალღირსების ხსენებულ საზოგადოების საპატიო წევრობიდან გამორიცხვა, ამასთანავე უკანვე გიბრუნებთ თქვენ მიერ შემოტანილ ას მანეთს. გამგეობის წევრი ნოვოსილცევი“.

**დემონსტრაცია.** მოსკოვში იაკოვლევის ქარხნის მუშებმა საღამოს ექვს საათზე დემონსტრაცია გამართეს შმიდტის დასჯის წინააღმდეგ, ააფრიალეს წითელი და შავი დროშები, დასძახეს რევოლიუციონური სიმღერა, იგალობეს საშვლოვიათო მარში და გაიფანტნენ. პოლიციამ ვერავის დაჭერა ვერ შეიძლო.

**რეპრესიები ციმბირში.** ტომსკის გენერალ-გუბერნატორმა გადაასახლა 18 გლეხი, 6 სათადარიგო ჯარის კაცი, 18 ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე, ერთი მასწავლებელი, ერთი აქციზის მოხელე და ერთიც მოქალაქე.

ჩიტიდან გადაასახლეს ყველა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები.

9 **მარტს, ვარშავის** გზით საზღვარ გარეთ გაგზავნეს ერთი ვაგონი ოქრო.

**კერჩის** ახლო ნავთი აღმოაჩინეს.

**ბიუროკრატიის სამეფოდან** აგერ რამდენი დღეა, რაც პეტერბურგში ბევრი ხმები დადის ვიტეს სამსახურიდან გადაყენების შესახებ. ის თურმე გულგრილათ ეკიდება საქმეებს და კრებებზე ძვირათ დადის. მის ალაგას ორ კაცს ასახელებენ, სახელმწიფო საბჭოს წევრს გორემიკინს და კოკოვცევს. ამ უკანასკნელის კანდიდატურას სასახლის პარტია აყენებს.

ვიტესთან ერთად როგორც ამბობენ, დურნოვოც მიდისო. დურნოვოს ასე უსაუბრია ერთ კერძო კაცთან:

„მე რომ მინისტრათ დავდექი, რუსეთში ბინძური ანარქია იყო გამეფებული. დღეს კი შედარებით წესრიგი აღდგენილია, აგრარული მოძრაობა მიყუჩდა, აჯანყება არ ხდება, ვაჭრობა კარგათ მიდის. მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და ახლა დამშვიდებული სინიდისით შემიძლია სამსახურს გავშორდეო“.

სხვასაც ლაპარაკობენ დურნოვოს და ვიტეს შესახებ. მაგათ ერთმანეთის გაგდება სურდათ და ახლა ორივემ მიზანს მიაღწიესო.

— როგორც ამბობენ, მთავრობამ ოლონდ ფულები კი აიღოს და საუფლისწულო მამულების დაგირავებაზედაც კი დათანხმდებაო.

**უსაქმო მუშების სასარგებლოთ** სემიანიკოვის ქარხნის მუშებმა პეტერბურგში გადასწყვიტეს ზეგარდმოებით იმუშაონ და აღებული ფულები უსაქმოთ დარჩენილ ამხანაგებს გადასცენ.

**ახალი გაზეთი.** ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის რედაქტორობით პეტერბურგში გამოვა გაზეთი „ოკრაინა“.

**შინაგან საქმეთა მინისტრი** ატყობინებს მის ხელქვეითებს, რომ მარტში გაფიცვებია მოსალოდნელი და ეცადეთ, რევოლუციონერები სდევნოთო.

**არეულობა.** იმპერატორის იახტა „პოლიარნაია ზვეზდის“ ეკიპაჟი აღელდა ცუდი საჭმელის გამო, სადილი ზღვაში გადაყარა და მუშაობაზე უარი თქვა, მანამ საჭმელს არ გამოუმჯობესებენო. მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

**სამართალში მიცემულნი „წეს-რიგის“ მცველნი.** გაზეთების სიტყვით სენატში გაირჩევა შემდეგი საქმეები: მინსკის გუბერნატორის კურლოვის, ადესის გრადონაჩალნიკის ნეიდგარდტის, ტვერის გუბერნატორის სლეპცოვის, ტამბოვის გუბერნატორის ლაუნიცის და როსტოვის გრადონაჩალნიკის გრ. პოლხაუსი. ყველა ამათ ებრაელების აწიოკების ორგანიზატორობა ბრალდებათ,

**სმოლენსკის** სემინარიის მოწაფეებმა სცემეს რექტორსა და სამ მასწავლებელს. ინსპექტორის თანაშემწე კაზანცევმა წერილი დაწერა ამის შესახებ და სემინარიის ამბები გამოამჟღავნა. ეპისკოპოსმა ამ „დანაშაულისთვის“ კაზანცევი სამსახურიდან გადააყენა.

**არჩევანი.** კურსკის გუბერნიის ქალ. ლგოვში ამრჩევლათ აირჩიეს აქაური ერობის ყოფილი თავმჯდომარე შირკოვი, რომელიც ამ ჟამათ მოსკოვის ციხეშია დატუსაღებული.

**ადმ. დუბასოვის პატივისცემა.** ვინ ცემდა პატივს ადმ. დუბასოვს? რა თქმა უნდა „ჭეშმარიტი რუსები“, რომლებიც გრინგმუტის მეთაურობით წარუდგენ მას და „რუსეთის ხალხის მკვიერ“ ადრესი მიართვეს, რომელშიაც „რუსეთის ერი“ მადლობას უცხადებს ადმირალს აჯანყების დაცხრომისათვის. სიხარულით აღელვებულ ადმირალს მადლობა გადაუხდია დეპუტაციისთვის და უთქვამს: „იმედი გქონდეთ, არავითარ უწესოებას ალაგი არ ექნება მოსკოვში თუ ცოცხალი დავრჩიო“.

ნეტავი ვიცოდეთ, ერთი მილიონი ფულის გატაცება მოსკოვის ბანკიდან არის თუ არა უწესოება?

## დეპეშები

(პეტ. და რუს. დეპეშათა სააგენტოსავან).

16 მარტი.

**პეტერბურგი.** გუშინ ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება სახელმწიფო გადასახადების პროექტის განსახილველათ. ქალაქის ამომრჩევლების სიეზდმა აირჩია: დნეპროვში მეშჩანინი, პარტიის გარეშე; დუნაევცში—ებრაელი; რიაზანში ნაფიცი ვექილი, მაზრის სამმართველოს თავმჯდომარე, ინჟინერი, დამზღვევი აგენტი და ვაჭარი, ყველა პროგრესისტია; არხანგელში—კადეტი; ბორზნში—პროფესორი და მაზრის მოსამართლის წევრი, პროგრესისტი; სტაროდუბში—ნაფიცი ვექილი; ახალ ლადოგაში—ვაჭარი—რუსეთის ხალხის კავშ. წევრი; მიცკინში—მაზრის სამმართველოს თავმჯდომარე, პროგრესისტი; კოზელსკში—გადასახადების ინსპექტორი; კრონშტადტში—ქალაქის თავი, პარტიის გარეშე და ქალაქის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე, სავაჭრო-სამრეწველო პარტიის წევრი, კადეტი; სოროკში—4 ებრაელი; ვიაზნიკაში—ორი ფაბრიკანტი და საერობო სტატისტიკი, კადეტი, ბლევში—ვაჭარი; ბორისოგლებში—ერობის ექიმი და ნოტარიუსი, პროგრესისტები; ტელცში;—კოვენის გუბერნიაში, 2 ებრაელი; ნოვგოროდ, სევერსკში — ებრაელი და ქრისტიანი; კროლევში—ქალაქის თავი, დამზღვევი აგენტი, პროგრესისტი; გარინში—ორი ებრაელი.

**პეტერბურგი.** ქალაქის ამრჩევლების სიეზდმა აირჩია ხარკოვში—მაზრის სამმართველოს წევრი, ერობის აგრონომი—პროგრესისტები. კალუგაში—ნაფიცი ვექილის თანაშემწე, გუბერნიის სამმართველოს თავმჯდომარე, ყოფილი ქალაქის თავი და გრაფი ი. ტოლსტოი—ყველა კადეტია. მაგილიოვში აირჩიეს ორი მართმადიდებელი, ორი ებრაელი, ყველა კადეტი. შპოლში—ებრაელი და ვაჭარი. კოვნოში—სამი ნაფიცი ვექილი, კერძო ვექილი, ორი საპატიო მოქალაქე და ვაჭარი, ყველა ებრაელია. შუაში—კადეტი. რიბინსკში—ვაჭარი, ექიმი და ორი ნაფიცი ვექილი, ერთი 17 ოქტ კავშ. წევრია და სამი კადეტი. ონეგაში—ზავოდის კასირი. ბალახოვში—ვაჭარი ზომიერი, ნოვოალექსანდროვში—დამზღვევი აგენტი ებრაელი. ორგეევში—ექიმი, ორი ნაფიცი ვექილი და კბილის ექიმი—ყველა პროგრესისტებია. მსხვილ მემამულეების სიეზდმა კუპიანსკში აირჩია: თავად-აზნ. წინამძღოლი, გუბერნიის ყოფილი წინამძღოლი, სამმართველოს თავმჯდომარე, აზნ. და გლეხი. ალექსინში—თ-ვ დ-აზნ. წინამძღოლი—უკიდურესი მემარჯვენე, ლიევნის მაზრაში—გუბერნიის სამმართველოს თავმჯდომარე, თავად-აზნ. წინამძღოლი, წინამძღოლის კანდიდატი, ორი ერობის უფროსი, ყველა 17 ოქტომ. კავშ. წევრია. ურუმში—მემამულე—კადეტი. ეგოროვში—თავად-აზნ. წინამძღოლი—უკიდურესი მემარჯვენე. ზარაისკში—რიაზანის ყოფილი გუბერნატორი, რეევის მაზრის წინამძღოლი—მემარჯვენენი. რიაზანში—მაზრის სამმართველოს წევრი, ნაფიცი ვექილი, კერძო ბანკის დირექტორი, ვაჭარი და გლეხი—ყველა 17 ოქტ. კავშ. წევრია. შავლში—ქსენძი, ხუთი აზნ., ამათ შორის სამი პროგრესისტია. პრონსკში—ორი 17 ოქტომ. კავშ. წევრი. სპასკში, რიაზანის გუბერნია—ორი აზნაური ორი გლეხი და მღვდელი.

**პალერმა.** კუნძულ უსტიკაზე ღამით ძლიერი მიწის ძვრა იყო. მცხოვრებლები კუნძულს ტოვებენ.

**ბელგრადი.** ნიშნები ემჩნევა, რომ მთავრობას სურს ინგლისთან დიპლომატიური დამოკიდებულება იქონიოს. ხმები დადის, რომ ალექსანდრეს წინააღმდეგ შეთქმულობის მეთაურებს ითხოვენ და მეორე მხრით რამდენიმე აფიცრებს, რომლებიც განვენებული მეფის მომხრეები იყვნენ.

**პარიჟი.** გაზ. „ტანი“ სწერს, რუსეთმა, მიუხედავათ დღევანდელი მდგომარეობისა, ევროპის სახელწიფოებში თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა და საფრანგეთის ინტერესების დამცველათ გამოვიდა. რუსეთის ასეთ სამსახურს საფრანგეთი არ დაივიწყებს. კონფერენციის მიზანია საფრანგეთს და რუსეთ შორის კავშირის გამაგრება და ინგლისთან, ესპანიასთან და იტალიასთან მეგობრობის დადასტურება.

17 მარტი.

**რეჟიცა.** დვორიანის ქუჩაზე სამჯერ ზარბაზნის გასროლით პოლკოვნიკ ვოლკოვის დამსჯელმა რაზმმა დასწვა კარმიდამო წავთსადგურის პატრონის ნიკანდრე ბალშაკოვის, რომელიც მძარცველების და ქურდების მეთაურია, ბოლშაკოვი, მისი შვილი და ვილაც უცნობი მასთან დაიჭირეს.

**ვლადივასტოკი.** მოვიდა გენერალი ანდრეევი. ის მიიღებს ვლადივასტოკის გენერალ-გუბერნატორობას, ნაცვლათ მიშჩენკოსა. მოსულებს თვალ-ყურს ადევნებენ.

**სიმფეროპოლი.** კორსუნის მონასტერში წინამძღოლის ბინის აფეთქება და მისი მოკვლა უნდოდათ.

**იურიევი.** სახელმწიფო ეგზამენები იურიდიულ ფაკულტეტზე 19 აპრილს დაიწყება, საბეითალო ინსტიტუტში 10 აპრილს.

**განჯა.** 15 მარტს ღამით ცხენოსანი მძარცველები მაჰმადიანების მწყემსებს დაეცენ. წაასხეს 500 ცხვარი. ორი მწყემსი უგზოუკვლოთ დაიკარგა. კაზაკების წყალობით სომხების სოფ. კარაკეშში ცხვრების ნაწილი აღმოაჩინეს.

**ვარშავა.** რუდსკის ფაბრიკაში რწმუნებულების არჩევნები მოულოდნელათ გათავდა. 15 მარტს მუშებმა საარჩევნო ყუთში ჩაყარეს საარჩევნო ფურცლები, ყუთი დაბეჭდეს და ფაბრიკის დირექტორს შესანახათ მიაბარეს. დღეს მუშების დეპუტაცია მოვიდა და განაცხადა, რომ არჩევნები ცუდათ მოხდა და მუშებს ხელახალი არჩევნები სურსო. მუშებმა ყუთი მიიღეს თუ არა საარჩევნო ფურცლები დახიეს და არჩევნებზე უარი განაცხადეს. აპატოვის მაზრაში ათ სტრაჟნიკს რევოლვერები და ხანჯლები წაართვეს.

**სმოლენსკი.** რევოლვერით მოკლეს ჟანდრის პოლკოვნიკი გლადიშევი. მკვლელი მიიმალა.

**ლოძი.** პურის მცხობლები გაიფიცენ. გეიცელის და კუნიცურის ფაბრიკაში მუშაობა დაიწყეს.

**კიევი.** დაიჭირეს ორი მძარცველი, რომელსაც აბრალებენ სოფ. დემიევში ფოსტის გაძარცვას. ლუდის ქარხნის პატრონმა შულცმა მუქარის წერილი მიიღო. წერილში სთხოვდენ სამას მანეთს. წერილის მომწერი დაიჭირეს და აღმოჩნდა რეალურ სასწავლებლის შეგირდი.

**რიგა.** ექვსი შეიარაღებული ბოროტგამძრახველები ელევატორის კანტორას დაეცენ. უნდოდათ ფულის ყუთი გაეტეხათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. მძარცველებმა რამდენჯერმე გაისროლეს და მიიმალენ.

**უფა.** ქ. უფის ამრჩევლების არჩევნები, სამართველოს მიერ მინისტრის ინსტრუქციის 25 მუხლის დარღვევის გამო, ამრჩეველმა კამისიამ მოსპო.

**მოსკოვი.** გამოირკვა, რომ საურთიერთო ბანკს რევოლიუციონერები დასცემია. საერო საზოგადოების ორგანიზაციამ სარატოვის გუბერნიის დამშეულებს ასი ათასი მანეთი გაუგზავნა.

**ლიბავა.** დაიჭირეს სამი გლეხი, რომლებიც გამოტყდენ, რომ გრაფი ლამზდორფი პოლიტიკური მიზნით მოკლეს.

**ჩიტა.** ადმინისტრაციამ გაზეთი „ზაბაიკალიე“ დახურა. დაიჭირეს რედაქტორი სოლდატოვი და თანამშრომელი მარჩენკო.

**რეჟიცა.** გუშინ დამსჯელი რაზმის არტილლერიამ დაანგრია სოფ. კივაკაში, უზულმუჟაისკის ვოლოსტში, მემამულეების ტყის გამჩეხის მეთაურის სახლ-კარი. და მონაწილე დაიჭირეს.

**მოსკოვი.** ქალაქის ამომრჩევლების არჩევნები სერგიევის პასადში მაზრის კომისიამ აკრძალა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს ამრჩეველათ პეტერბურგის თავად-აზნაურებიდან აირჩიეს ილინი, ჩინოვნიკი სამიწათმოქმედო სამინისტროსი და ბარონი კორფი.

**პეტერბურგი.** მემამულეების სიეზდმა აირჩია: ტიხვინსკში—ერობის უფროსი და გუბერნიის სამმართველოს წევრი. ქიზდინსკში—მაზრის სამმართველოს წინამძღოლი, საერობო სამმართველოს თავმჯდომარე, ორი ვაჭარი და ვოლოსტის მამასახლისი, ნოვგოროდის სიეზდმა—გუბერნიის წინამძღოლი, მაზრის წინამძღოლი, ფაბრიკანტი, ხუცესი და გლეხი. უმანსკში—134 გლეხი, 24 ხუცესი და 2 მეშჩანინი, ლიპოვეცკში—31 გლეხი, და მღვდელი, გოდიაჩსკში—უმამულო გლეხები, მიროპოლსკში—მღვდელი, 19 გლეხი და ვაჭარი, ომიანსკში—10 ქსენძი, 41 აზნ., 5 გლეხი და 4 მეშჩანინი, ლიდკაში—2 ქსენძი და 6 აზნ., ვილნოში—8 მღვდ., 8 ქსენძი, 7 აზნ., ერთი მეშჩანინი, 25 გლეხი, გულიპოვში ალექსანდროვის მაზრაში—26 გლეხი, 7 მღვდ. რომენის სიეზდზე—65 მღვდ., 2 მემამულე, 3 ურიადნიკი, დანარჩენები უმამულო კაზაკები და გლეხები. პროსკოვში გლეხთა რწმუნებულებმა აირჩიეს 4 მოხელე, ამათ რიცხვში უმაღლესი განათლებით მოსამართლეა, სოფელ ჩარკასის რწმუნებულებათ აირჩიეს მამასახლისი, ორი სტაროსტი და 41 გლეხი.

**პეტერბურგი.** მსხვილი მემამულეების სიეზდმა რაიშევში აირჩია 4 მემამულე, ორი კონსერვატორი, ორი ზომიერი. ტომში აირჩიეს ადგილობრივი თავად.-აზ. წინამძღოლი, ყოფილი გამომძიებელი, ზომიერი მიმართულების. ქალაქის ამრჩევლების სიეზდმა სუმახში აირჩია სამი 17 ოქტ. კავშ. წევრი, კუპიანსკში—ორი ხალხის თავისუფლების პარტიის და სამი მემარჯვენე, ბოგდუხოვში—ორი პროგრესისტი და ერთი მემარჯვენე, დონის-როსტოვში სამი წევრი კონ.-დემ. პარტიისა და ერთი 17 ოქტ. კავშ. წევრი, ნოვოზიბოვში—გიმნაზიის მასწავლებელი, ვაჭარი და მეშჩანინი, ყველა 17 ოქტ. კავშ. წევრები. გლეხთა რწმუნებულებმა აირჩიეს; ოსტროვში—გლეხი პარტიის გარეშე, არმიანსკში გერმანელი. სუდისლავის მემამულეების სიეზდზე აირჩიეს ორი მღვდელი და 7 გლეხი.

**პეტერბურგი.** ხარკოვში ამრჩევლებათ აირჩიეს ორი ხალხის თავისუფლების პარტიის წევრი, ვოლჩანსკში—თავ.-აზნ. წინამძღოლი და სამი ერობის ხმოსანი, ყველა პროგრესისტებია, სევსკში—ერობის ექიმი პროგრესისტი, მედინის ქალაქის ამრჩევლებმა—ვაჭარი და აზნ. კადეტი, კურმიშში მემამულეებმა—სამმართველოს თავმჯდომარე ყოფილი გუბერნატორი ანდრეევსკი, მემამულე დანკოვი, გლეხებიდან—ორი „ოქტომბრისტი“, ქალაქიდან ვაჭარი, მონარქისტი, მსხვილ მემამულეებიდან თავ. დოლგორუკოვი, სამი ვაჭარი ოქტომბრისტი, კიშინიოვში—ვოლოსტებიდან ერთი მამასახლისი, ერთი სოფლელი, მაგილიოვის გუბერნიის სამაზრო ქალაქებიდან და მაგილიოვიდან 24 აზნაური, 6 მღვდელი, საპატიო მოქალაქე, მეშჩანინი და 18 გლეხი, კირსანოვში მემამულეებიდან აირჩიეს სამი გლეხი, მოურავი, ერობის უფროსი, ორი ვოლოსტი მამასახლისი, ორი მემამულე, იაროსლავში ქალაქის მუშებიდან ორი მუშა პროგრესისტი, სუდჟში რწმუნებულათ აირჩიეს მღვდელი და 18 გლეხი, ბალაშოვში წვრილ მემამულეებიდან 18 მღვდ., 22 გლეხი, 2 ვაჭარი, სამი აზნ., სამი მამასახლისი, 13 მოლა, ზარაისკში წვრილ მემამულეებმა აირჩიეს 7 მღვდ., სამოქალ. სასწავლებლის ზედამხედველი, წევრი თავ.-აზნ. სამზრუნველოსი, გლეხი და ჩინოვნიკი.

**ასტრახანი.** სახელმწიფო საბჭოს ამრჩევლათ თავ.-აზნ. აირჩიეს: სახელმწიფო ბანკის მმართველი ტიმაშევი და ნაფიცი ვექილი სკვარცოვი—კონსერვატორი. მსხვილ მემამულეების სიეზდზე ტულის გუბერნიაში აირჩიეს: ორი აზნ. კონსერვატორი, ტასუსში—ერობის სამმართველოს თავმჯდომარე, პეცოვსკში ერობის უფროსი და გლეხი, სკოპინოში წევრი გუბერნიის სამმართველოსა და თავ.-აზნ. წინამძღოლი, ორი ოქტომბრისტი, მესამე პარტიის გარეშე. კასიმოვში გლეხი უნივერსიტეტელი და ორი ვაჭარი, ყველა ზომიერი პროგრესისტებია. უსტიუჟსკში ხუთი გლეხი კონსერვატორები. კუპიანსკში ყოფილი გუბერნიის წინამძღოლი, სამმართველოს თავმჯდომარე, ერობის უფროსი და სამი გუბერნიის ხმოსანი, პეროიასლავის მაზრაში გლეხი, პოკროვის მაზრაში, ვლადიმირის გუბ., ფაბრიკანტი, იურიევსაში აზნაური და გლეხი, სუზანსკში მაზრის სამმართველოს თავმჯდომარე, ბორისოგლებსკში თავად-აზნ. წინამძღოლი და 5 აზნაური—ყველა კონსერვატორია.

**პეტერბურგი.** „დეილი ქრონიკლ“-ში მოთავსებული ცნობა, რომელიც რუსულ გაზეთებშიაც დაიბეჭდა, ვითომც მინისტრთა საბჭომ შეაჩერა მანჯურიის ჯარების რუსეთში გადმოყვანა, სიმართლეს მოკლებულია. ვაჭრობის მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა აღებ-მიცემობის წარმომადგენლების კრება, რომელიც განიხილავს პროექტს გუბერნიებში აღებ-მიცემობის ორგანიზაციის მოწყობისას.

**ლანსი.** მუშები ცეცხლს აქრობენ, დილის 7 საათზე, როცა მაღაროებს ტოვებდენ, შეამჩნიეს 13 კაცი, რომლებიც ძლივს დგებოდენ ფეხზე და მათთან მივიდენ. ერთმა მათგანმა სთქვა, რომ ისინი მოვიდენ მაღაროს მესამე ნომრიდან, სადაც ცოცხლათ იყვენ დამარხული ოცი დღის განმავლობაში. გადარჩენილი ქვანახშირის მუშები ფრთხილათ მაღაროებიდან ამოიყვანეს. იმათ დღის სინათლის ატანა უჭირთ, ძლიერ სუსტათ არიან, ყოველ მხრიდან ღიდძალი ხალხი მოდის. ამბობენ, სხვა მაღაროებიდან ცოცხლათ დამარხულების ხმა ისმისო. დღეს მაღაროებიდან 14 ცოცხალი მუშა ამოიღეს. მიწისქვეშ მუშები კატასტროფის მომენტიდან იყვენ და იკვებებოდენ იმ სანოვაგით, რაც დაღუპულ ამხანაგებს დარჩათ და იმ შვრიით, რომელიც საჯინიბეში ნახეს. ერთს გარდა ყველა ჯანმრთელია.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. მახარაძე.


## განცხადება

ვ. გაღილიას წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემანი:**

1) სამი სიტყვა ანუ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა ივ. მაჭავარიანისა. 5 კ.
2) როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა. 4 კ.
3) ლუკმა პურის ამბავი, ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, თარგ. კ. ნინიძისა. 6 კ.
4) თავისუფლებისთვის მებრძოლნი თარგ. ა. ლომთათიძისა
5) დედაკაცი თარგ. ა. ლომთათიძისა. 6 კ.

აგრეთვე იყიდება შემდეგი წიგნები:

ა. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. 50 კ.
კ. კაუცკი. ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი საფრანგეთის წარსულიდან. 20 კ.
კ. მარქსი. ვაჭრობის თავისუფლება. 20 კ.
მ. კოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარმოშობა-განვითარება წ. 1. 20 კ.
ბ. ს. მრეწველობის განვითარება ანუ შრომა და კაპიტალი. 15 კ.
ნ. ჟ. გერმანიის ახალი ისტორიიდან. 25 კ.
ლიბკნეხტი. რა ბრალსა გვდებენ. 10 კ.
შიპპელი. პროფეს. კავშირები. 10 კ.
როგორ იბრძოდენ სიცილიელი გლეხები. 15 კ.
ოქტავ მირბო. ჟანი და მადლენა. 25 კ.
ვ. ლიბკნეხტი. ჩვენი მიზანი, თარგმანი პოლ. კალანდაძისა. 15 კ.
ა. ბებელი. კაცობრიობის იდეალი, თარგ. კ. ნინიძისა, 15 კ.
ა. ბახი. შიმშილი, მოკლე პოლიტ. ეკონომია თარგმანი თ. სახოკიასი. 20 კ.
ა. თ. ბიკოვისა. ამბები ინგლისის ისტორიიდან მე-XI-XIX საუკ. თარგ. კ. ჩხეიძისა. 50 კ.
პროფ. ერნესტ. ჰეკელი. გრძნობათა ორგანოების წარმოშობა და განვითარება. 15 კ.